# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 9 მარტი. 2022 წ. №35 (9373) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# რა „მაპი“, რის „ღია კარი“, პირდაპირ თქვით, ④ რომ რუსეთის შიშით ნატოში არ გიღებთ!






# სიმართლე მწარეა, ② რადგან სინამდვილეა მწარე...

## ზელენსკი: ნატოს საკითხის მიმართ გულგრილი გავხდი!

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ამერიკულ ტელეკომპანია ABC News-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინა მზად არის რუსეთთან დიალოგისთვის, თუმცა არა კაპიტულაციისთვის. ზელენსკი ასევე შეეხო ნატოს საკითხს და განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს რუსეთთან კონფრონტაციის ეშინია. ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკრაინას არ სურს იყოს ქვეყანა, რომელიც მუხლმოდრეკილი ითხოვს რაღაცას.

# ნუ გეშინიათ, ქვეყანაში არსებული ვითარება სრულ კონტროლს ექვემდებარება

**სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების გარემო სრულ კონტროლს ექვემდებარება,** — ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია.

უწყების ცნობით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სხვა, შესაბამის უწყებებთან ერთად აქტიურ რეჟიმში ატარებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაძლო რისკები და გამოწვევები.

**გვსურს, გამოვეხმაუროთ ბოლო დღეების განმავლობაში მიზანმიმართულად გავრცელებულ დეზინფორმაციას საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების, კერძოდ რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის მოქალაქეების ე.წ. მასიური და უკონტროლო შემოდინების შესახებ. მიმდინარეობს საზოგადოების დაშინება შემოსულ პირთა შორის ე.წ. დივერსანტების, ტერორიზმთან დაკავშირებული ჯგუფების და ა.შ. არსებობის შესახებ.**



**სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების გარემო სრულ კონტროლს ექვემდებარება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად აქტიურ რეჟიმში ატარებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაძლო რისკები და გამოწვევები, ასევე სრულად იქნას გაკონტროლებული ქვეყანაში მყოფი პოტენციური რისკის შემცველი ყველა პირი.**

**ქვეყანაში შემოსული რუსეთის ფედერაციის, ბელარუსის და სხვა უცხო ქვეყნების მოქალაქეების მიერ არ შეიმჩნევა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის რისკის შემცველი აქტივობების განხორციელების ტენდენცია.**

**ქვეყანაში შემომსვლელ პირთა რაოდენობა არ აღემატება გასული წლების ანალოგიური პერიოდის სტატისტიკას. საქართველოს სახელმწიფო, ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის დაშვების სუვერენულ უფლებას ახორციელებს კანონმდებლობის სრული დაცვით, არსებული რისკებისა და გამოწვევების შესაბამისად“.**

**ასე რომ, იცხოვრეთ მშვიდად და იმედიანად! გფარავდეთ ღმერთი!**

## სიყვარული ომის წილ...



# ჩაპას წერილი მსოფლიოს ქალღმერთსა და ადამიანებს ⑦

# ბორის ჯონსონი: რუსული აგრესიის გაკვეთილები ვერა და ვერ ვისწავლეთ!

**რუსეთის ქმედებები საქართველოში 2008 წელს და უკრაინაში 2014 წელს, ისევე როგორც სერგეი და იულია სკრიპალების მოწამვლა სოლსბერიში, გაფრთხილება იყო დასავლეთისთვის,** — განაცხადა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა გაზეთ **The New York Times**-ში გამოქვეყნებულ სტატიაში. სტატიაში ბორის ჯონსონი აღნიშნავს, რომ დასავლეთმა ვერ ისწავლა რუსული აგრესიის გაკვეთილები წარსული მოვლენებიდან.

**„ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მეორე ლოყას ვუშვერდით. პოლონეთსა და ესტონეთში ბოლო ვიზიტების დროს ჩემს კოლეგებთან საუბრიდან ვიცი, რამდენად მწვავედ გრძნობენ ისინი საფრთხეს. რაც არ უნდა დრო დასჭირდეს, ჩვენ თავიდან უნდა ავიცილოთ უკრაინაში რუსეთის ქმედებების მცოცავი ნორმალიზება“,** — წერს თავის სტატიაში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ასევე აცხადებს, რომ 2008 წელს რუსეთის საქართველოში შეჭრისა და 2014 წელს ყირიმის ანექსიის გაკვეთილი არის ის, რომ რუსული აგრესიის შედეგების მიღება უბრალოდ ხელს უწყობს შემდგომ დარღვევებს...


# ძლიერი იმუნიტეტი - მძლავრი ზღუდე ინფექციის ⑤ დასამარცხებლად

სულაჟერი SOULAGEUR

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

## პრემიერ-მინისტრი ბიზნესასოციაციისა და მოქმედი ბანკების ხელმძღვანელებს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრებთან და ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ერთად, საქართველოში მოქმედი ბანკების ხელმძღვანელებს, ბიზნესასოციაციისა და საბანკო ასოციაციის პრეზიდენტებს შეხვდა. მთავრობის მეთაურმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კობა გვენეტაძისგან მოისმინა ეკონომიკური ვითარების მიმოხილვა და ეროვნული ბანკის პროგნოზები ლარის კურსთან დაკავშირებით.**

ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა ქვეყანაში არსებულ პოზიტიურ ეკონომიკურ ტენდენციებს და აღნიშნა, რომ იანვარში 18%-იანი ეკონომიკური ზრდა დადასტურდა, რაც რეგიონში უპრეცედენტო მაჩვენებელია; ამასთან მნიშვნელოვნად გაზრდილია ექსპორტი და დადებითი დინამიკაა ტურიზმის აღდგენის მიმართულებით. პრემიერ-მინისტრის შეფასებით, მნიშვნელოვანია, ეს ტემპი არ შენელდეს, კიდევ უფრო გაიზარდოს და ამ პროცესში ბიზნესს განსაკუთრებული როლი ენიჭება.



პრემიერმა, საქართველოს მთავრობის სახელით, ბიზნესს სრული მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურა და მოუწოდა, აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფოს მიერ დაანონსებული პროექტებისა და პროგრამების განხორციელებაში, რომლებიც ეკონომიკური ზრდის წახალისებას და ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ისახავს მიზნად. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტები — არჩილ მესტვირიშვილი და პაპუნა ლეჟავა, საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე, ბიზნესასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან ვეფხვაძე, ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ძნელაძე, „საქართველოს ბანკის", „თიბისი ბანკისა" და „ლიბერთი ბანკის" ხელმძღვანელი პირები.

## გოგა ხაინდრავა: 200 000 განცხადებაა დაწერილი საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის მიღების შესახებ, აქედან 99%ქართველია!



**200 000 განცხადება დაწერილი საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის მიღების შესახებ. 99% არიან ქართველები. ეს ხომ სტატისტიკაა, ამას ხომ ვერ დამალავ. აგერ არის იუსტიციის სახლი, შედი და ნახე, ვისაც უნდა აღიდგინოს საქართველოს მოქალაქეობა და დაბრუნდეს სამშობლოში,** - განაცხადა გოგა ხაინდრავამ გადაცემა „უცნობის კიდობანში" სტუმრობის დროს. როგორც ხაინდრავამ აღნიშნა 900 000 ქართველი ცხოვრობს რუსეთში და ეს ადამიანები აქ ოჯახებს არჩენენ. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მათ იქ საფრთხე არ შევუქმნათ.

**„900 000 ქართველი ადამიანი ცხოვრობს რუსეთში. ეს 900 000 ადამიანი ერთ ამდენს არჩენს აქ, აჭმევს, აცმევს, უგზავნის იქიდან ფულს. შე კაი დედმამიშვილო, აქ რომ რუსებზე თავდასხმებს აწყობ. ჩვენ ხომ გვაქვს ნანახი, როგორც ცხვრები შერეკეს თვითმფრინავში და წიხლებით გამოყარეს აქ. ამაზე არ უნდა იფიქრო? მარტო შენს თავზე უნდა იფიქრო? ნუ შემოუშვებ რუს სახლში, პურს ნუ გაუტეხ, მაგრამ რას ყვირი, რატომ ყვირი. ამათთვის არც ვაჟა-ფშაველა არსებობს, არც შოთა რუსთაველი არსებობს, არც საქართველო არსებობს, არც დედა არსებობს, არც მამა არსებობს, არაფერი არ არსებობს. ესენი გადაგვარებული, უჯიშო ადამიანები არიან",** — განაცხადა გოგა ხაინდრავამ გადაცემაში სტუმრობის დროს.



# სიმართლე მწარეა, რადგან სინამდვილეა მწარე...

**სამიოდე დღის წინ გამოქვეყნებულმა ჩემმა წერილმა, „უკრაინა და NATO", ღიად, საჯარო სივრცეში, მხოლოდ რამდენიმე, თითებზე ჩამოსათვლელი მოწონება დაიმსახურა. კარგად მესმის, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მისამართით კითხვების გაჩენაც კი, მყისიერად, ნაცპროვოკატორებისა და სხვა დაქირავებული, თუ „ალალი ბრიყვი" მავნებლების სამიზნედ გაქცევს და შეიძლება „ჯანმრთელობისთვის საზიანო იყოს", მაგრამ ვინაიდან და რადგანაც სახელმწიფოს ინტერესი გაცილებით მაღალი ღირებულებაა, ვიდრე „ნერვების გაფრთხილება", მაინც გადავწყვიტე, ობიექტური რეალობიდან გამომდინარე უკიდურესად მწარე შეფასებებით (სიმართლე მწარეა), ცნობილი ფსევდოდასავლელების მუდმივ ბულინგში მყოფი გონიერი და მართალი მხარე ოდნავ მაინც შემეფხიზლებინა.**

ჩემი აქტიურობის მთავარი მიზეზი ზემოხსენებული მავნებლების მიერ ჩვენი ქვეყნის წინასწარ წაგებულ ომში ჩათრევის დაუოკებელი სწრაფვის პრევენცია იყო და არის ახლაც, როცა ამ სტრიქონების დალაგებას ვცდილობ ლოგიკური თანმიმდევრობით.

მადლობა ღმერთს, ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზეა. **ღია ომში ჩათრევის ორი მცდელობა, სანქციებთან მიერთება და მოხალისეების გაგზავნა, მოგერიებულია. წარმატებით დაიწყო მესამე,** ქართული ბუნებისთვის სრულიად შეუსაბამო, **ეთნიკური რუსების მიმართ დაპირისპირების პროვოცირების მცდელობის გაუვნებელყოფის პროცესიც.** შეხსენებისთვის, **უკრაინაში შეჭრის ერთ-ერთი მთავარი „ოფიციალური მიზეზი" „ნაციონალისტებისგან რუსი მოსახლეობის დაცვა იყო".** შესაძლო პროვოკაციების რაოდენობა ბევრია და სამწუხაროდ, მათ როგორც **რუსეთის ოფიციალური და მისგან მართვადი წრეებიდან,** ასევე **ჩვენი „მეგობრებიდანაც" ჰყავთ წამქეზებლები.**

სპეკულაციების თავიდან ასარიდებლად, განმარტებისთვის, ვიტყვი, რომ **საქართველოსთვის NATO-სთან მიერთება არის ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საუკეთესო მექანიზმი,** მაგრამ... არის ერთი მაგრამ - **აუცილებელია ამა თუ იმ აქტიური მოქმედებისთვის დროის სწორად შერჩევა.** აშკარაა, რომ **უკრაინის შემთხვევაში სურვილები არ იყო შესაბამისობაში არც NATO-ს და არც უკრაინის მზაობასთან, შესაძლებლობებთან...** დღეის მდგომარეობით, **უკრაინა და უკრაინელი ხალხი აღმოჩნდა ექსპერიმენტის მსხვერპლი, სახელწოდებით — „რას იზამს რუსეთი"?!** ჩვენი, როგორც პარტნიორის პრეტენზია **NATO**-ს მიმართ ის უნდა იყოს, რომ **როცა იცი, პუტინის რუსეთის არაადეკვატური რეაგირებების შემთხვევაში შენ, NATO, ღია დაპირისპირებაზე წამსვლელი არ ხარ, რადგან არ შეიძლება სამყარო მესამე და უკანასკნელი მსოფლიო ომისთვის გაწირო, სრულიად დაუცველი ადამიანების ხარჯზე ექსპერიმენტები არ უნდა ატარო.**

შედეგად ის მივიღეთ, რომ **უკრაინა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, ხოლო NATO-მ, თავის მხრივ, განიცადა უდიდესი რეპუტაციული ზიანი.** უკან მიდევნებული პროპაგანდა, რომ „პუტინი ადრე თუ გვიან პასუხს აუცილებლად აგებს", მათთვის, ვისაც ოჯახები დაენგრა და სახლკარი თავზე ჩამოექცა, ვერაფერი შეღავათია. ჩემ მიერ ამ აბზაცში გამოთქმული დასკვნების მართებულობის დასტურად და საილუსტრაციოდ **პრეზიდენტ ზელენსკის 4 მარტის განცხადებაში** გაკეთებული შეფასებებიც იკმარებს:

**„დღეს NATO-ს ხელმძღვანელობამ მწვანე შუქი აუნთო უკრაინის ქალაქებისა და სოფლების დაბომბვას, რადგან უარი თქვა არასაფრენი ზონის გამოცხადებაზე..."**

**„თქვენ უნდა გეფიქრათ ხალხზე, ადამიანებზე. თქვენ კი რაზე ფიქრობდით იმ სხდომაზე?.."**

**„დღეიდან ხალხი თქვენ გამო, თქვენი სისუსტის გამო დაიღუპება..."**

**„განა ასეთი NATO გვინდოდა? განა ასეთ ალიანსს აშენებდით?.."**

**„თქვენ შეგეძლოთ საჰაერო სივრცის დახურვა, მაგრამ მე არ ვიცი, ვისი დაცვა შეგიძლიათ და შეგიძლიათ თუ არა საკუთარი ქვეყნების დაცვა — ალიანსის ქვეყნების..."**

**„ერთადერთი, რაც დღეს ალიანსმა შეძლო, თავისი შესყიდვების სისტემის მეშვეობით, უკრაინას 50 ტონა დიზელი გამოუყო, ალბათ იმისთვის, რომ ბუდაპეშტის მემორანდუმი დავწვათ, თუმცა ეს მემორანდუმი ჩვენთვის რუსული ჯარების ალში დაიწვა..."**

**„თქვენ ჩვენ მიერ ევროპისთვის დაღვრილ ლიტრობით სისხლს საწვავის ლიტრებით ვერ გამოისყიდით..."**

არანაკლებ მძიმეა საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულებას შეფასებებიც:

**„ომამდე უკრაინელი ხალხი NATO-ს თვლიდა ძალად, ევროკავშირს კი სუსტად და მერყევად. ომის დაწყების შემდეგ უკრაინელმა ხალხმა დაინახა, რომ ყველაფერი პირიქით არის, რომ ევროკავშირს აქვს ხასიათი, აქვს ძალა, გამოიყენა უსაფრთხოება და უპრეცედენტო სანქციები. შეიქმნა სპეციალური ფონდი შეიარაღებული ძალების დასაფინანსებლად. მოგვცა წევრობის პერსპექტივა და კანდიდატის სტატუსი... NATO კი, ვერაფერს წყვეტს... ეს არის სისუსტე, რომლისთვისაც ალიანსი სათანადოდ გადაიხდის..."**

ბუნებრივად დაისმის კითხვები — რა იქნებოდა სწორი?.. რა არის გამოსავალი?..

სამწუხაროდ, პროცესი ისეთ ღრმა ფაზაშია შესული, ვფიქრობ, კარგი გამოსავალი, ანუ არც მშვიდობიანი და არც სამართლიანი გამოსავალი, უკვე აღარ არსებობს. NATO-ელი პარტნიორების მხრიდან ქმედითი დახმარების გარეშე რუსეთთან პირისპირ დარჩენილი **უკრაინა მხოლოდ თავისი ხალხის იმედზეა და ღმერთმა გაამარჯვებინოს რაიმე ზებუნებრივი ძალით.** არც „ფარდის მიღმა" შეინიშნება ისეთი მოძრაობები, რაც გვაფიქრებინებს, რომ რაიმე შეიძლება შეიცვალოს. ისევ და ისევ სამწუხაროდ, ვითარების არსებითად შეცვლის თეორიული ვარიანტების ძებნამაც კი დაკარგა აზრი. ყველა საერთაშორისო ინსტიტუტის მოთხოვნამ, რომ „ომი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს", დიდი ხანია, ასევე დაკარგა წონა და ფასი და იგი ერთგვარ, მხოლოდ საარქივო მასალად განწირული პროტოკოლებისთვის გათვლილ, „სავალდებულო აუცილებლობად" იქცა.

საზოგადოებისთვის თანდათან ნორმის სახე მიიღო, რომ ყველა საუბარი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალზე სამი წერტილით მთავრდება...

რაც შეეხება იმას, თუ რა იქნებოდა სწორი...

უკვე მთელი კატეგორიულობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ **პუტინთან „კავკასიურ ცარცის წრეში" შესვლა არ ღირდა, არ იყო გამართლებული და ასე იქნება მომავალშიც.** ის „ბავშვს" ყოველთვის, ყველა შემთხვევაში გაგლეჯს, რადგან **მისთვის „ბავშვი" არ არის და არც არასდროს იქნება მთავარი და მნიშვნელოვანი, ის მხოლოდ საშუალებაა ბოროტი „დერჟავული" ზრახვების მისაღწევად.**

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი მოქმედებების დროის შერჩევასთან დაკავშირებით, ჩემი წინა წერილის P.S.-ში გამოთქმულ მოსაზრებას გავიმეორებდი — **„ერთმმართველობის განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე, პუტინის ეპოქის დასრულებასთან ერთად (მანამდე საეჭვოა), რუსეთში დაიწყება რღვევის ახალი პროცესი, როგორც ეს იყო 80-90-იან წლებში. აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სტაგნაციის პერიოდიც ხომ უნდა დასრულდეს როდისმე? როგორც მრავლისმნახველმა და ათეულობით წლების სტაჟის მქონე პოლიტიკის ანალიტიკოსმა, თითქმის დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ ორი გარემოების თანხვედრა იქნება ახალი ეპოქის ათვლის წერტილი. მთავარია, მანამდე გასავლელ ბეწვის ხიდზე ჭკუით, ცივი გონებითა და ნაკლები ემოციებით ვიაროთ."**

**ბიძინა დვალი**
05.03.2022 წ.

P.S. ძალიან მინდა, ეს წერილი ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა წაიკითხოს. მას აქვს რამდენიმე დღე თავისი ბოლოდროინდელი „მანევრებიდან" გამომდინარე მოსალოდნელი შედეგების გააზრებისთვის. იმედი მაქვს, ან თვითონ დაინახავს ან ვინმე ჭკუათამყოფელი უახლოესი გარემოცვიდან უკარნახებს და დაანახვებს, „ახალი თანამოაზრის" შეძენით აჟიტირებული ნაცმავნებლები როგორ იფშვნეტენ ხელებს. იმედი მაქვს, იმის შეხსენება არ უნდა სჭირდებოდეს, თუ სად არის ნათელი და სად კიდევ — ჭაობი.



# გააფთრებული ომი შინ და გარეთ



## ღმერთო, გადაარჩინე უკრაინაც და საქართველოც

**მოლოდინი საყოველთაო იყო. სიტყვას, რომელსაც მოვისმენდით, ფაქტობრივად უნდა შეეცვალა მთელი პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში. ასე აღიქმებოდა წინარე აჟიოტაჟი, სპეციალურად შემზადებული და გახურებული. ამიტომ მიაწყდა ხალხი, მიპატიჟების შესაბამისად, პარლამენტისწინა მოედანს, სადაც ბოლო ორი ღამის განმავლობაში შესამჩნევად შემცირებულიყო მოპიკეტე ხალხი.**

მუხტი აშკარად დამბურძგლავი გახლდათ. იმ ვრცელ მასაში, როგორც ქიშმიში პასკაში, შეიმჩნეოდა რადიკალური ოპოზიციის – ნაციონალური მოძრაობის აქტივისტთა ჯგუფები, რომლებიც მრავლისმეტყველი მოზეიმე დუმილით რომ იქცევდნენ ყურადღებას.

ისინი აშკარად ელოდნენ, რომ ომში გახვეული, მებრძოლი უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი, რომელსაც თბილისში შეკრებილთათვის უნდა მიემართა, უკრაინის მხარდამჭერთ სიჩაუქეს მოუწონებდა და მოუწოდებდა: ჩვენო ძვირფასებო, გაყარეთ თქვენი ულირსი ხელისუფლება, რომელმაც უარი თქვა რუსეთისათვის სანქციების დაწესებაზე, უკრაინაში მოხალისეების გაგზავნაზე და რომელსაც კუდი აქვს გადაბმული მოსკოვთან, დაამხეთ სამარცხვინო რეჟიმი და თავისუფლებისა და დემოკრატიის დროშა ააფრიალეთო (შეიძლება არა მთლად ასე აგზნებულად, მაგრამ დაახლოებით ასე). აქედან რევოლუციამდე კი ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა.

ნეტა რომელ გახურებულ თავში იშვა ვარიანტი, რომ ასეთ განცხადებას გააკეთებდა პრეზიდენტი ზელენსკი, რომელმაც, მართალია, უმართებულოდ გაკილა საქართველოს მთავრობა, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, ასეთი „რევოლუციური იდეა“ შეეთავაზებინა მარადი რევოლუციონერი ქართველებისთვის ან საერთოდ პერსონალურად, თანაც ასე „სიღრმისეულად“ მიემართა მხოლოდ ქართველებისთვის.

პრეზიდენტმა ზელენსკიმ 4 მარტს მიმართა ევროპის 7 ქალაქის: ფრანკფურტის, ლიონის, პრაღის, ბრატისლავას, პარიზის, თბილისის, ვილნიუსის მცხოვრებლებს, რომლებიც აქტიურად გამოდიან ქუჩაში მებრძოლი უკრაინის მხარდასაჭერად, მადლობა გადაუხადა მათ თანადგომისთვის, დღეს თქვენ ყველანი უკრაინელები ხართო. საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა კი ემოცია საერთოდ ვერ მოზომ-მოთოკა და კონკრეტულად პარლამენტის წინ შეკრებილთ უსაშველოდ და უჩვეულოდ ალმატებულად მიმართა: **„თქვენ ხართ ის ხალხი, რომელიც დღეს საქართველოს ღირსებას წარმოადგენსო“.**

რამდენად მართალი იყო ამ შეფასებაში, ეს იქით გადავდოთ. ერთი რამ კი აშკარაა, ამ მიმართვით ქალბატონმა სალომემ პირის დახურვამდე ჩამოირეცხა თავის მიმართ ოპოზიციის დამკვიდრებული მძულვარება და აგდებული დამოკიდებულება. ვინ წარმოადგენს ერის ღირსებას და ვინ არა, ასე ელვის სისწრაფით, სიტყვის მარილად არ ხარისხდება, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტს ჩემგან რა ესწავლება?!

დღეს უკრაინაში ნამდვილი, ფართომასშტაბიანი ომია. პრეზიდენტი პუტინი თავიდან ცდილობდა ეს ომი სპეცოპერაციად შეესაღებინა მსოფლიოსთვის, მაგრამ შუბი ხალთაში რას დაიმალება! რუსი ოკუპანტები რაკეტებით, საავიაციო და საარტილერიო ჭურვებით ბომბავენ, მიწასთან ასწორებენ ქალაქებს. ილუპებიან უკრაინელი ჯარისკაცები, ქალები, ბავშვები... ბეწვზე გადაურჩა აფეთქებას ევროპაში უდიდესი ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური, რომელსაც გააფთრებით შეუტიეს. ევროპა გადაურჩა ბირთვულ კატასტროფას, რომელიც განუზომლად უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე ჩერნობილის ცნობილი აფეთქება იყო. იქ მხოლოდ ერთი ენერგობლოკი გამოვიდა მწყობრიდან, აქ კი ექვსი ენერგობლოკი დადგა რისკის ქვეშ. პუტინი იხტიბარს არ იტეხს, თორემ რუსეთი დღეს უკვე მძიმე მდგომარეობაშია. ჩაიშალა ბლიცკრიგი, რომლის გათვლა, და იმედიც ჰქონდა რუსეთის სამხედრო ელიტას, წინსვლა შეფერხდა. უკრაინის სამხედროები და ხალხი გააფთრებით ეწინაღმდეგებიან კარსმომდგარ მტერს. მოსკოვმა ისიც ვერ გათვალა – უკრაინელთა სულისკვეთება და ახლა შედეგს იმკის. ვერ გათვალა, რომ მთელი მსოფლიო წინ აღუდგებოდა აგრესორს, თუმცა, ეს „წინ აღდგომა“ ისეთი მაინც ვერ გამოდგა, როგორსაც კიევი ელოდა და ვარაუდობდა. და ახლა მწვავედ ამუნათებენ ნატოს, რომ მან არ ჩაკეტა და არ კეტავს უკრაინის ცას, რასაც ნატო მას უთუოდ ჰპირდებოდა.

შეიმჩნევა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რუსი ხალხის განხიბლვა ველიკოდერჟავული ილუზიებისაგან. რუსეთმა გაისიგრძეგანა, თუ რა ბოროტება ჩაიდინა მისმა ხელისუფლებამ მოძმე უკრაინის წინააღმდეგ.

რუსეთის საგარეო უწყებაში განგაშით აცხადებენ, რომ რამდენიმე ქვეყანაში შეინიშნება რუსოფობიის უპრეცედენტო ზრდა. ისინი უგულებელყოფენ რუსეთის ავ გაფრთხილებას: დარწმუნებული იყავით, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ყველა ინციდენტსო. მთავრობას დაავალეს იმ ქვეყნების სიის შედგენა, რომლებიც რუსეთის მიმართ არამეგობრულად აჟუჟუნებენ თვალებს. ეს სია ძალზე გრძელი, უგრძესი გამოვა. უმჯობესი იქნებოდა, იმათი სია შეედგინათ, ვინც რუსეთის მეგობრებად დარჩნენ.

რუსეთში უკვე აგორდა მძლავრი საპროტესტო აქციები. სასტიკი რეპრესიების მიუხედავად მოსახლეობა ქუჩაში გამოდის, აპროტესტებს ამ დანაშაულებრივ, ძმათამკვლელ ომს. თუ რუსი ხალხი მოიშორებს დამნაშავე პრეზიდენტს, ამით სირცხვილს ჩამოირეცხავს. რუსეთს ტოვებს უამრავი ცნობილი თუ უცნობი ადამიანი, რომლებიც შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს ამ ომით. მათ შორის უპირველესი იყო ალა პუგაჩოვასა და მაქსიმ გალკინის ვარსკვლავური ოჯახი. ალამ „ინსტაგრამზე“ გამოაქვეყნა თავისი შავ-თეთრი ფოტო წარწერით: „არა ომს! ჩვენ ომის წინააღმდეგი ვართ!“ მაქსიმმა კი იმავე “ინსტაგრამზე“ შავი კვადრატი მოათავსა წარწერით: „სიტყვებით ვერ გადმოვცემ, რასაც ვგრძნობ. როგორ შეიძლება ეს ხდებოდეს. ომს გამართლება არა აქვს. არა ომს!“

არა ომს, ხაი ჟივე უკრაინა! ამ დევიზით საქართველოს მოსახლეობა სულითა და გულით თანაუგრძნობს მოძმე ხალხს. როგორც იტყვიან, უკანასკნელ პერანგს იხდის მისთვის, ლუკმას უყოფს. მან უკვე 40 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი შეაგროვა და გაგზავნა–სურსათი, თბილი ტანსაცმელი, ბავშვთა კვების პროდუქტები, სამედიცინო ნივთები, წამლები. დახმარება კვლავაც გრძელდება. ცალკე მთავრობამ გამოიღო ხელი, 140 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნა... ხალხი ტელევიზორს არის მიციებული, რა ხდება უკრაინაშიო.

**ამასთან ერთად ყველაფერი კეთდება, რათა საქართველოს ხელისუფლებას რაც შეიძლება შეელახოს იმიჯი უკრაინის, მსოფლიოს თვალში. ჩვენი რადიკალური ოპოზიცია ტყავიდან ძვრება, რათა ხელისუფლების გაკეთებული ყველაფერი გააშავოს და ქვეყანას მოსდოს, როგორც თბილისის მტრული, კაპიტულანტური ნაბიჯი. ევროპასა და ამერიკაში მიდის დასმენების ნიაღვარი. ეს არ არის კრიტიკა, ცდა „გამოაკეთოს“ ხელისუფლების „ეცდომები“ ეს არის სასიკვდილო მტრობა, ჩასაფრება. ყოველი ნაბიჯი გამიზნულია ხელისუფლების დასამხობად, ქვეყნის დასაქცევად (სწორედ რომ დასაქცევად, თორემ ამ კადრებით და ამ ძმედებით ქვეყანა არ აშენდება). ასეთი შთაბეჭდილება რჩება და, ღმერთმა ქნას, ვცდებოდე.**

აი, მაგალითად, გახსოვთ რა ღრიანცელი ატყდა რუსეთში რძის ნაწარმის გაგზავნასთან დაკავშირებით?

ეს ღალატიაო, უკრაინა ინგრევა და ესენი აგრესორთან ვაჭრობენ, სულგუნს და ახალ რძეს უგზავნიანო. პროვოკაციებში ჭიპმოჭრილი ელენე ხოშტარია უმალ მიიჭრა კანცელარიასთან, რათა მისი კედლები კეტჩუპით მოეთხუპნა, ხოლო, როცა პოლიციამ მანქანაში ჩატენა და იქაურობას მოაცილა, „ტვ პირველმა“ ეს კადრი უმალ დაუწყვილა რუსეთის ქალაქებში საპროტესტო აქციების დარბევის კადრებს. ვითომ საქართველო და რუსეთი ერთნაირად და შეთანხმებულად მოქმედებენო.

არადა, არავის უნდა გაიგოს, რომ სულგუნის ეპიზოდი ტიპური ჭიქაში ატეხილი ქარიშხალია. ნახეთ: ქართველ რძის მრეწველებს თხოვნა მათი ნაწარმის რუსეთის ბაზარზე გატანის შესახებ 2020 წელს ჰქონდათ შეტანილი. რუსეთის ხელისუფლებამ ეს ნებართვა „რატომღაც“ ახლა, 2 წლის შემდეგ, გახურებული ომის დროს გასცა, ბუნებრივია, რუსეთისა და საქართველოს „თანამშრომლობის“ დასტურად. და მიზანშიც მოარტყა: ოპოზიციას საბაბი მისცა ხელისუფლების სათრევად და საჯიჯგნად. რუსეთმა უდროო დროს მხოლოდ ნებართვა გასცა, აქედან კი ერთი გრამი არაფერი წასულა. მაშ, რა შუაშია ჩვენი ხელისუფლების ღალატი?

ოპოზიცია არ წყვეტს მუდმივმოქმედ აქციას რუსთაველის პროსპექტზე და უკანასკნელი სიტყვებით თათხავს „რეჟიმს“... ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველო როგორმე ჩართოს საომარ მოქმედებებში. აქვე ერთი უცნაური, მრავლისმეტყველი ინფორმაციაც. საქართველოს ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომელიც სულ ახლახან გამოვიდა ციხიდან, სადაც ის წლების მანძილზე იჯდა ჩადენილ უკეთურებათა გამო, განაცხადა, რომ ჰააგის ტრიბუნალის გამომძიებლები უკრაინაში იმყოფებიან და ამ ქვეყნის გენერალურ პროკურატურასთან ერთად რუსეთის მიერ ჩადენილი დანაშაულების მტკიცებულებებს აგროვებენ. მერაბიშვილი ამაყად აღნიშნავს, რომ ის ჰააგის ტრიბუნალის ფორმატში ქართველი იურისტების გუნდთან ერთად ამჟამად უკრაინის ქალაქ ხმელნიცკში იმყოფება და აქტიურად თანამშრომლობს მათ შორის რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს საოკუპაციო ჯარის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისას მიღებული გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ის, რომ რუსეთის მხედრიონის მიერ უკრაინაში ჩადენილი ბოროტმოქმედების გამოძიება უკვე დაიწყო ჰააგის ტრიბუნალმა და ამ მასალების გააზრებისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შდეგებსაც გამოიყენებს თუ გაიაზრებს, ძალიან კარგი და მოსაწონია, მაგრამ აქვე ისმის ლოგიკური კითხვა, ვინ ძალლმა და მამაძაღლმა მისცა მანდატი ვანუა მერაბიშვილს ამ საპატიო საქმეში მონაწილეობისა?

საქართველოს ხელისუფლებამ? არა მგონია მას ასეთი სირეგვენე ჩაედინა! ალბათ, ჩვენმა ყველგან მყოფმა და ყოვლისშემძლე ოპოზიციამ! თვით ოპოზიციას კი ვინ დართო ამის ნება? ალბათ და უთუოდ იმან, ვინც საერთოდ წარმართავს ოპოზიციის მთელ ქმედებას, იქ, სადღაც ევროპასა თუ ამერიკაში! აი, „სად არის ძაღლის თავი დამარხული“, ახლა თქვენ თვითონ გამოიტანეთ დასკვნები, ძვირფასო მკითხველებო.



**უკრაინაში გააფთრებული ომია, საქართველოშიც გააფთრებული ომია ხელისუფლებისა და ქვეყნის წინააღმდეგ.**

**ღმერთო, გადაარჩინე უკრაინაც და საქართველოც!**

**ალეკო ასლანიშვილი**



# რა „მაპი“, რის „ღია კარი“, პირდაპირ თქვით, რომ რუსეთის შიშით ნატოში არ გიღებთ!

## რუსეთს საქართველოს და უკრაინის ფინლანდიზაცია არ აკმაყოფილებს, რუსეთის მიზანია ამ ქვეყნების სახელმწიფოებრიობის მოსპობა

**„არ გვეშინია ნეიტრალიტეტზე საუბარი, თუმცა უსაფრთხოების რა გარანტიები გვექნება?“** – აინტერესებს **ვოლოდიმირ ზელენსკის.** ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ოფიციალური კიევი სიტყვა „ნეიტრალიტეტს“ ახსენებს. რამდენიმე დღის წინ ზელენსკის მრჩეველმა აღნიშნა, რომ უკრაინას ნეიტრალიტეტზე საუბარიც შეუძლია, რადგან მოსკოვს ეს თემა აინტერესებს.

უკრაინელებისთვის ნეიტრალიტეტი, ანუ ბლოკგარეშე ქვეყნის სტატუსი მიუღებელია. ჯერ კიდევ 2010 წელს, როცა უკრაინის სათავეში **იანუკოვიჩი** მოვიდა, უმაღლესმა რადამ სპეციალური კანონი მიიღო და უკრაინა ბლოკგარეშე ქვეყნად გამოაცხადა. თუმცა იანუკოვიჩმა ამით ვერავითარი სარგებელი ვერ ნახა, პუტინმა მას იმედი გაუცრუა, როცა ყირიმში ყოფნის ვადა გაუხანგრძლივა რუსეთის სამხედრო ფლოტს და ბუნებრივ აირზე გაბერილი ფასებიც დიდად არ შეუმცირა უკრაინას.

უკრაინისა და საქართველოს ნეიტრალიტეტი კრემლის ოცნებაა. ვარაუდობენ, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დასრულება სწორედ ფინლანდიზაციის მოდელს შეუძლია, როცა კიევი უარს იტყვის ნატოზე და ფინეთის გზას დაადგება.

„ზამთრის ომის“ შემდეგ საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ ჰელსინკის ნეიტრალური კურსი განაპირობა 1948 წლიდან.

ტერმინ „ფინლანდიზაციის“ გამოყენება ამ ცხელ დღეებში რატომღაც **ემანუელ მაკრონს** მიაწერეს, თითქოს საფრანგეთის პრეზიდენტმა ახსენა, რომ უკრაინის „ფინლანდიზაცია“ რუსეთთან დაძაბულობის განსამუხტად ერთ-ერთი მოდელი იქნებოდა. თუმცა მაკრონი ამტკიცებს, რომ ასეთი რამ არ უთქვამს და ტყუილად მიაწერეს. მაკრონი ირწმუნება, რომ მან პირიქით თქვა, რომ დასავლეთს არ შეუძლია შეწყვიტოს ნატოს ღია კარის პოლიტიკა. თავის მხრივ, ზელენსკიმაც დაადასტურა, რომ მაკრონს „ფინლანდიზაცია“ არ უხსენებია.

პერიოდულად საქართველოს ფინლანდიზაციაზეც საუბრობენ ჩვენში არსებული ძალები. ეს პრორუსული პროპაგანდის ნაწილი და კრემლის სატყუარაა, რომელიც პერიოდულად გააქტიურდება ხოლმე ჩვენს ქვეყანაში.

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის აგრესიის შედეგად ფინეთმა დაკარგა თავისი ტერიტორიის 10%, მაგრამ შემდგომში ფინეთი გახდა ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო და ასეთად რჩება დღესაც, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სახელმწიფოა. ანალიტიკოსი იმასაც ამბობს, რომ, სხვათა შორის, საბჭოთა კავშირს არ შეუშლია ხელი ფინეთის განვითარებისთვის, რომელმაც ნეიტრალური პოლიტიკა აირჩია. თუმცა ჩვენს შემთხვევაში, რუსეთის მიზანი მარტო ყირიმის, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების დაპყრობა არ არის, რუსეთის მიზანია საქართველოს და უკრაინის სახელმწიფოებრიობის მოსპობა. ასე რომ, რუსეთს საქართველოს და უკრაინის ფინლანდიზაცია არ აკმაყოფილებს.

**„ფინეთს და რუსეთს 1939-40 წლებში ჰქონდათ პირველი ომი, მეორე ომი ჰქონდათ 1944 წელს, ანუ ფინელებმა მერე ისევ დაიკავეს ტერიტორიები, რაც საბჭოთა კავშირმა ფინეთს წაართვა. 1944 წელს გერმანელები რომ განდევნეს საბჭოელებმა ლენინგრადის ოლქიდან, შემდგომში ისევ ფინელებს შეუტიეს, ორკვირიანი ომი იყო, მაგრამ მერე კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩამოყალიბდა მათ შორის, შემდგომში რამდენჯერმე ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ფინეთთან საბჭოთა კავშირის მხრიდან. რაც შეეხება უკრაინა-საქართველოს, ამ ტერიტორიებს დღევანდელი რუსეთი განიხილავს რუსეთის ტერიტორიებად, თითქოს ეს ტერიტორიები ისტორიულად შედიოდა რუსეთში. პუტინმა პირდაპირ თქვა, უკრაინას სახელმწიფოებრიობა არ ჰქონიაო, საქართველოზე კი თქვა, რომ რუსეთის იმპერიაში სხვადასხვა ტერიტორია შედიოდა და ერთ-ერთი იყოო, ირონიულად ახსენა, „ტიფლისსკაია გუბერნია“, თითქოს საქართველოს 3 ათასწლოვანი ისტორია არ ჰქონია“,** – აღნიშნა ნიკა ჩიტაძემ.

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** აცხადებს, რომ **„**ფინლანდიზაცია“ დღეს სასაუბრო თემა არ არის. თუმცა ანალიტიკოსი აქვე განმარტავს, რომ პირადად იგი უკვე წლებია საუბრობს, რომ დროში გაწელილი ინტეგრაცია და გაწევრიანება საფრთხის შემცველია.

**„როცა საუბრობდნენ მაპის მინიჭებაზე 2-3 წლის წინ, ოპოზიცია ამბობდა, მაპი სასწრაფოდ მოგვანიჭონ, ხელისუფლება არაფერს აკეთებსო, სინამდვილეში, მაპი არის დღევანდელ რეალობაში საფრთხე. ამას 2016 წლიდან ვამბობ, ეს საფრთხე ვერ გაიაზრა დასავლეთმა, ან სახელმწიფოს უნდა უთხრა, რომ მეშინია და ვერ მიგიღებ, გადავდოთ ეს თემა და მაშინ მიხედავს სახელმწიფო საკუთარ თავს, ან არადა, სწრაფად უნდა გადაწყვიტო გაწევრიანების საკითხი. ზუსტად ეს განაცხადა ზელენსკიმაც, განაწყენებით კი არა, ემოციურად თქვა, რადგან მისი ქვეყნის მიწა იწვის, ხალხი იღუპება და ინფრასტრუქტურა ინგრევა. თუ გეშინია, მაშინ პირდაპირ უთხარი უკრაინას ამის შესახებ. თუ არ გეშინია, მაშინ მიიღე სხვა ზომები უფრო სწრაფ ტემპში და გადააფარე უსაფრთხოების ქოლგა ამ ქვეყანას“,** – აღნიშნა ამირან სალუქვაძემ.

**მანანა ნოზაძე**

# რუს მილიარდერებს და ოლიგარქებს ფული ოფშორულ ზონებში აქვთ შენახული, სადაც სანქციები არ მოქმედებს“!



**უკრაინაში შეჭრის გამო რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური მარწუხები თანდათან ვიწროვდება. მსოფლიოს ქვეყნები ერთი-მეორის მიყოლებით იჩენენ სიმკაცრეს ოკუპანტის მიმართ. პუტინისთვის, ლავროვისთვის დაწესებულ სანქციებს მოჰყვა მსოფლიო საბანკო საფინანსო სისტემიდან (SWIFT) რუსეთის გათიშვა, რაც გაურთულებს რუსეთს ფულადი ტრანზაქციების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ეს ზომა 2012 წელს ირანის წინააღმდეგაც გამოიყენეს, მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა ირანს ბირთვული იარაღის გამო სანქციები დაუწესა.**

**ევროკავშირმა რუსეთის დუმის იმ 351 წევრსაც დაუწესა სანქციები, ვინც პუტინს დონბასის და ლუგანსკის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებისთვის მიმართა. დაწესებულ სანქციებს შორის ერთ- ერთი ყველაზე მკაცრია გერმანიის მხრიდან „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შეჩერება. თავად ეს გაზსადენი 11 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტია, რომლის ნახევარსაც რუსული კომპანია „გაზპრომი“ ფლობს. თეთრი სახლის დაპირებით, გაიყინება რუსული კომპანიების და ოლიგარქების ქონება-იახტები, სასახლეები. სანქციები რუსეთს შეუზღუდავს ბიზნესის წარმოებას დოლარში, გირვანქა სტერლინგში, ევროსა და იაპონურ იენში. რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს შეუერთდა დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, იაპონია, კანადა, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ახალი ზელანდია, გერმანია, სინგაპური.**

კრემლის პრეს-სპიკერი **დიმიტრი პესკოვი** ირწმუნება, რომ პუტინს მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მიმართ გულგრილი დამოკიდებულება აქვს, ვინაიდან სანქციები შეიცავს საკმაოდ აბსურდულ დებულებებს ზოგიერთ აქტივთან დაკავშირებით. კერძოდ, პესკოვის თქმით, ყველამ იცის, რომ პრეზიდენტ პუტინს არანაირი აქტივები არ აქვს, გარდა იმისა, რაც ყოველწლიურად არის დეკლარირებული. რაც შეეხება რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ დასავლეთის სანქციებს, პესკოვი ამბობს, რომ ეს სანქციები მძიმეა, მაგრამ რუსეთს აქვს ზარალის ანაზღაურების საჭირო პოტენციალი.

### რას უქადის რუსეთს ეკონომიკური ბერკეტის შექმნა?

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** მიიჩნევს, რომ პირადად პუტინს, ლავროვს და სანქციებში ჩამოთვლილ გარკვეულ კატეგორიას მათთვის დაწესებული სანქციები ნაკლებად ადარდებთ, თუმცა სანქციების სია ძალიან დიდია.

**„ვფიქრობ, რუსი დეპუტატებითა და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებით შემოფარგვლა არ არის საკმარისი, რადგან ვერც ერთი დეპუტატი და ბიზნესმენი ხმას ვერ ამოიღებს რუსეთში. გაცილებით მასშტაბური ქმედებებია საჭირო. სანქციების ბოლო ტალღა, ალბათ, ძალიან მწვავე და საგრძნობი იქნება რუსეთისთვის, მაგრამ მთავარია, ვერ მიდიან ენერგეტიკის კუთხით, იმის მიუხედავად, რომ განცხადებები კეთდება, იაპონიამ გამოთქვა მზადყოფნა, რომ თხევად გაზს გაგზავნის ევროპაში. დღეს იმხელა ფასები აქვს ენერგომატარებლებს, 3- 4- ჯერაა გაზრდილი გაზის ფასი, ნავთობის ფასმა მოიმატა საშუალოდ 30%-ით, კოლოსალური თანხები შესდის რუსეთს ბიუჯეტში, ალბათ, ეს გაგრძელდება. წინასწარ პროგნოზს ვერ გავაკეთებ და არ მგონია, ვინმეს ეს პროგნოზი ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ გვინახავს, როცა ნავთობის ფასი ჩამოსულა 30 დოლარს ქვემოთ, 20 დოლარს ქვემოთ, ყოფილა ასეთი კრიზისები ახლო და შორეულ წარსულში, მაგრამ, როგორც წესი, დიდხანს ვერ ინარჩუნებენ ამ დაბალ ფასებს, ვერ რისკავენ, ისეთი ზიანი მიაყენონ რუსეთს, აგრესიული პოლიტიკა შეაცვლევინონ“,** – აცხადებს ამირან სალუქვაძე.

მისივე თქმით, ამ წლების განმავლობაში, როცა ენერგორესურსებზე ფასები საკმაოდაა გაზრდილი, რუსები აგროვებენ რეზერვებს ზუსტად ასეთი მძიმე პერიოდისთვის. ზუსტად რეზერვების ხარჯზე გადაიტანეს წინა კრიზისი, როცა 2014 წელს სადღაც 29 დოლარზე თუ უფრო ქვემოთ ჩამოვიდა ნავთობის ფასი თვეების განმავლობაში. ნავთობზე 65 დოლარიც კი საკმაოდ კომფორტული ფასი იყო რუსეთისთვის, დღეს კი ნავთობი 95-100 დოლარი გახდა, გაზზე ფასი ზოგიერთ ქვეყანას ევროპაში გრძელვადიანი ხელშეკრულებით 250 დოლარად აქვს გაფორმებული ათას კუბურ მეტრზე, დღეს გაზის ფასი 1600 დოლარია, 2200 დოლარიც იყო ერთი პერიოდი. ეს ნიშნავს, რა მასშტაბის თანხები შედის რუსეთის ბიუჯეტში.

**ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ თუ ასე გაგრძელდა, რუსები გადაიტანენ ამ სანქციებს. რა თქმა უნდა, მძიმეა საბანკო სექტორისთვის დაწესებული სანქციები, რადგან ჯერ სამხედრო ბანკებს გამოუცხადეს სანქციები, რომლებიც სამხედრო მრეწველობას ემსახურებიან, შემდეგ ჩართეს სანქციების სიაში „ვითიბი ბანკი“, „სბერბანკი“, ეს უკვე სერიოზული დარტყმაა. თუმცა ევროკავშირს აქვს ინსტინქტი, თავად ხომ არ დაზიანდება ამ სანქციებით?!**

ამირან სალუქვაძის აზრით, ზოგადად, არასწორია სანქციების ის ტაქტიკა, რომელიც ჩამოყალიბდა ათეული წლების განმავლობაში, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული. დასავლეთი ნაბიჯ-ნაბიჯ ამკაცრებს სანქციებს. ამ დროს მათ ჰქონდათ 100%-იანი ინფორმაცია, რომ რუსეთი შეიჭრებოდა უკრაინაში. ამიტომ პირიქით უნდა გაეკეთებინათ, მაშინვე უნდა მიეღოთ მყისიერი ზომები, ანუ შეჭრამდე, თანაც ყველა მასშტაბის სანქცია უნდა დაეწესებინათ, დაწყებული მოქალაქეების მიმოსვლიდან, დამთავრებული სატრანსპორტო შეზღუდვებით, ფინანსური შეზღუდვით და ქონების დაყადაღებით. სანქციების მთელი პაკეტი უნდა დაეწესებინათ და უნდა ეთქვათ, თუ არ შეიჭრებით, გავაუქმებთ ამ სანქციებს, თუ შეიჭრებით, ასი პროცენტით მთლიანად ავამოქმედებთ. ახლა კი დაგვიანებით ამკაცრებენ სანქციებს, როცა ლამის ნახევარ უკრაინას აკონტროლებს რუსეთი.

ანალიტიკოსი **იგორ კვესელავა** დასავლეთის მხრიდან რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს პოლიტიკური თამაშის და საინფორმაციო ომის ნაწილად მიიჩნევს. მისი აზრით, რუსი მაღალჩინოსნებისთვის დაწესებული პერსონალური სანქციები არნახული სანქციებია, თუმცა ანალიტიკოსი დარწმუნებულია, რომ რუს მილიარდერებს და ოლიგარქებს ფული ამერიკის ბანკებში კი არ აქვთ შეტანილი, არამედ ოფშორულ ზონაში, სადაც სანქციები არ მოქმედებს.

**„ეს სანქციები განსაკუთრებულად საქართველოს ეხება, რადგან რუსეთში 1 მილიონი ადამიანია საქართველოდან წასული და ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით უკვე მძიმე შედეგები გვაქვს. საქართველოს პრემიერ- მინისტრმა ილაპარაკა, რომ მილიარდობით თანხაზეა საუბარი საქართველოსა და რუსეთს შორის. ჩვენ თუ ვერ შემოვიტანთ პროდუქტებს უკრაინიდან, რუსეთიდან, მაშინ საქართველოს ეკონომიკურად მოხრჩობა ადვილი იქნება. ჩვენ ხომ ყველაფერი შემოგვაქვს უცხოეთიდან. სანქციები გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი, ეს ერთ, ორ და სამ კვირაში შედეგს ვერ გამოიღებს, მაგრამ ვფიქრობ, უკრაინასთან ომი დიდხანს არ გაგრძელდება, ომის გაგრძელება დიდხანს არ შეიძლება, ეს არ აწყობს ომის მონაწილე არც ერთ მხარეს. ჩემი აზრით, ამერიკა, რომელიც ამ ომის ძირითადი წარმმართველია, უკვე ფიქრობს, რამენაირად გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან, ოღონდ დამარცხებული სახით გამოსვლა არავის აწყობს“,** – აცხადებს იგორ კვესელავა.

№35. ოთხშაბათი, 9 მარტი, 2022 წელი.

# ძლიერი იმუნიტეტი - მძლავრი ზღუდე ინფექციის დასამარცხებლად

**21-ე საუკუნეში კაცობრიობის წინაშე მდგარ პლანეტარულ გამოწვევებთან - ასე კარის ზღურბლზე მომდგარ მესამე მსოფლიო ომის სავსებით რეალურ საშიშროებასთან, კლიმატის გლობალურ ცვლილებასა და კიდევ არაერთ სხვა პრობლემასთან ერთად, დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია კოვიდ-19-ის ინფექცია, რომელმაც აგერ უკვე ორი წელია პანდემიის სახე მიიღო.**

კორონავირუსის შემოტევას მთელ მსოფლიოში უკვე რამდენიმე მილიონი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და მათი რიცხვი დღითიდღე განუხრელად მატულობს, ამდენად ამ ვირუსულ გასაჭირთან ბრძოლის ახალი საშუალებებისა და მეთოდების შემუშავება ინფექციონისტ მედიკოსთა და ბიოქიმიკოსთა წინაშე მდგარი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უაღრესად საყურადღებოა ქართველ მედიკოსთა მიერ შემუშავებული ბიოლოგიურად აქტიური დანამატის **სულაჟერის** გამოყენების საკითხი, რამაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს კოვიდ-19-თან ბრძოლის საქმეში.

სწორედ ამ მეტად აქტუალური თემის განხილვას მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს 4 მარტს გამართული სხდომა **„ინოვაციები კოვიდ-19-ის პათოლოგიის მკურნალობაში“**.


აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი


პროფესორი ანდრია შილაკაძე


ექიმი-ენდოკრინოლოგი ნინო ჭუმბურიძე


პროფესორი ალექსანდრე თავართქილაძე

— საქართველოში კორონავირუსის მორიგი ტალღის ბოლოდროინდელი ერთგვარი კლების მიუხედავად, მისი დონე მაინც მაღალი რჩება, რაც დღევანდელ გეგმიურ სხდომაში მონაწილე საბჭოს წევრთა ოდენობის საგრძნობ შემცირებასაც ეტყობა, — თქვა შესავალ სიტყვაში საბჭოს თავმჯდომარემ,ფიზიოლოგიის და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა **რამაზ ხეცურიანმა.** — განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო კორონავირუსულ ინფექციასთან ბრძოლაში ქართველ ექიმთა თავდადება და წვლილი, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ პაციენტთა სამკურნალოდ, ამასთან ვირუსთან გამკლავების ახალი გზების ძიებაში არიან. დღევანდელ სხდომაზე ჩვენ მათ მიერ შემუშავებული პრეპარატისა და მისი მოქმედების, კერძოდ, ვირუსთან საბრძოლველად ადამიანის იმუნური სისტემის სტიმულირების საკითხს განვიხილავთ.

მოხსენებით **„სულაჟერი — დაკვირვებები და კვლევები კოვიდ-19-ის წინააღმდეგ“** - დამსწრეთა წინაშე წარსდგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ალექსანდრე თავართქილაძე**.

მომხსენებელმა ილაპარაკა ადამიანის იმუნიტეტის საკითხის შესწავლის ისტორიაზე, დამსწრეთ წარუდგინა პანდემიასთან დაკავშირებულ, როგორც საქართველოს, ისე ჯანმოს ოფიციალური სტატისტიკა, მიმოიხილა სულაჟერის მოქმედების მექანიზმები.

— ის წარმოადგენს ბიოლოგიურ პრეპარატს, რომელიც მიღებულია მცენარე დვალურის (Polygonum Guspidatum) დაშლით, აქტიური ნივთიერებების განცალკევებით და შემდეგ თავიდან მათი სხვადასხვა კონცენტრაციების შეზავებით. ამის შედეგად სულაჟერი იქცევა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კონცენტრატად, რომელსაც გარკვეული, ფიტოპრეპარატების ზემოქმედების მსგავსი თვისება აქვს. სულაჟერი წარმოადგენს ფლავონოიდების, პოლიფენოლური ნაერთების, სტილბენებისა და სხვა ფიტოალექსინების, მელატონინისა და სხვა ამინომჟავების ბუნებრივ კონცენტრატს, — აღნიშნა პროფესორმა ა. თავართქილაძემ.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სულაჟერის ნიმუშები ინ ვიტრო კვლევისთვის თურქეთში გაიგზავნა, სადაც ჩატარდა სრულფასოვანი ანტივირუსული კვლევა ინ ვიტრო პირობებში და დადასტურდა მათი ძლიერი ანტივირუსული მოქმედება ლენტავირუსული ხაზის ყველა წარმომადგენელზე. ასევე დადგინდა კოვიდ-19-ის მაკავშირებელი ცილის ნეიტრალიზების ეფექტიც. მედიკამენტის მოქმედების მექანიზმი უკავშირდება ვირუსის უჯრედში შეღწევისას მის ბლოკირებას ბიოაქტიური ნივთიერების ემოდინის დახმარებით. დაკვირვება ობსერვაციული კვლევის სახით ჩატარდა საქართველოში ჰოსპიტალურ პირობებში 150 პაციენტზე.

პროფესორ ა. თავართქილაძის მიერ წარმოდგენილ მოხსენებასთან დაკავშირებით საბჭოს წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა აზრი გამოთქვეს და მთელი რიგი შეკითხვა დასვეს.

— როგორც ცნობილია საქართველოში უძველესი დროიდან მედიცინა კარგად იყო განვითარებული. ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ ისეთ ურთულეს ოპერაციებს, როგორიც თავის ქალის ტრეპანაციაა, არსებობდნენ მკურნალთა მთელი დინასტიები: თურმანიძეები,ავშანდაძეები და რაც მთავარია, ზაზა ფანასკერტელის ქვეყანა ვართ, ვინც „კარაბადინი“ დაგვიტოვა.სწორედ ამიტომ დიდად მისასალმებელია, რომ მეტად რთულ პირობებში ქართველმა მეცნიერებმა შეძლეს ასეთი მნიშვნელოვანი კვლევების ჩატარება და პრეპარატის შექმნა, რომელმაც საგრძნობი როლი უნდა შეასრულოს კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, — აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა რამაზ ხეცურიანმა.

**— სიამოვნებით მხარს ვუჭერ ქართველ მედიკოსთა მეტად საყურადღებო კვლევას, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი სწორ გზას ადგანან, — განაცხადა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ. — ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ მეცნიერებაში სიახლეს მუდამ სდევს გარკვეული ოპონირება, ამდენად მკვლევარები შესაძლო კრიტიკას არ უნდა შეუშინდეთ.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე აკადემიკოსმა **თინათინ სადუნიშვილმა,** დიაბეტის ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **რამაზ ყურაშვილმა,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ელზა ვაშაკიძემ,** ამავე უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის გამგემ, პროფესორმა **ნიკო გოგაძემ,** აკადემიკოსმა **დავით მიქელაძემ**.

**„ნუტრიენტების როლი კოვიდ-19-ის მენეჯმენტში“ (საქართველოში განხორციელებული ნოვატორული მიდგომები)** — ეს გახლავთ თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმ-ენდოკრინოლოგის **ნინო ჭუმბურიძის** მოხსენების თემა, რომელშიც მან თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში ჩატარებული დაკვირვებების შედეგები წარადგინა.

სულაჟერი
SOULAGEUR
ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატი

— 2020 წლის 26 თებერვალს, საქართველოში კოვიდ-19-ის პანდემიის პირველი ტალღის გამოცხადებისთანავე, სამხედრო ჰოსპიტალს, დედაქალაქის სამ წამყვან კლინიკასთან ერთად, ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრომ კორონავირუსით ინფიცირებულ პაციენტთა მიმღები ცენტრის სტატუსი მიანიჭა, - თქვა ქალბატონმა ნ. ჭუმბურიძემ. — ფიზიოლოგიური ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით, კოვიდ-19-ის მკურნალობის სახელმწიფო გზამკვლევთან ერთად, ჩვენმა ჯგუფმა დანერგა შიდა ჰოსპიტალური პროტოკოლი, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა ამა თუ იმ ნუტრიენტის დადებითი მოქმედება ინფიცირებულ პაციენტთა გამოჯანმრთელებაზე. შესაბამისად, 2020 წლის მაისიდან, კომპლექსურ მკურნალობაში დავამატეთ ვიტამინები D3, C, ასევე თუთია, სელენიუმი, რამაც ჰოსპიტალიზაციის ვადები 7-14 დღით შეამცირა. აღნიშნული ინიციატივა ჯანმომ ოფიციალურად აღიარა და მსოფლიო გაიდლაინში შეიტანა.

შემდეგ ქალბატონმა ნ. ჭუმბურიძემ მისი ჯგუფის მიერ საქართველოს კლინიკებში ჩატარებული კვლევების სტატისტიკურ მონაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე მიღებულ შედეგებზე ისაუბრა.

სხდომის დასრულების შემდეგ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ **ელზა ვაშაკიძეს**:

— დღევანდელი ჩვენი შეკრება უნიკალური შემთხვევაა, როცა პრაქტიკოსი და ძალიან მაღალი დონის თეორეტიკოსი ექიმები ერთმანეთს შეხვდნენ ისეთი სერიოზული საკითხის განსახილველად, როგორიცაა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გასაჭირის, კოვიდ-ინფექციის მართვა.

სხდომაზე განვიხილეთ ქართველ სწავლულ მედიკოსთა მიერ შექმნილი ერთ-ერთი ახალი პრეპარატი, რომელიც საკმაოდ იმედისმომცემია იმ მხრივ, რომ გარკვეულ პერსპექტივებს აჩენს ამ საშინელ სენთან გასამკლავებლად. თეორეტიკოსთა მიერ მიგნებული მიმართულებით სვლა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, რისთვისაც საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი მხარდაჭერა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს სხდომის მიზანიც სწორედ ამ მხრივ ხელისუფლებისთვის, ჯანდაცვის სამინისტროს სახით, სათანადო რეკომენდაციების შემუშავებისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაო გახლდათ.

**ოთარ ტურაბელიძე**



# წარდგება თუ არა პუტინი ჰააგის სასამართლოს წინაშე?


Vladimir Basmanov (Courtesy Image)

**რუსეთის მთავრობის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულ ომთან დაკავშირებულ საქმეებს ერთდროულად ორი საერთაშორისო სასამართლო განიხილავს. ერთ-ერთი მოსმენა 7 მარტს დაიწყო. მეორე სარჩელი, შესაძლოა, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ იყოს მიმართული.**

## რა ხდება?

**უკრაინა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე 7 მარტს წარდგა. გაეროს საერთაშორისო სასამართლოს განხილვის საგანი, რომელიც სახელმწიფოთაშორის სამართალწარმოებას ეხება, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული უკრაინის სარჩელი იყო. კიევი ითხოვს, რომ უკრაინაზე რუსეთის თავდასხმა გენოციდად აღიარონ. ამავდროულად, უკრაინა უარყოფს მოსკოვის პრეტენზიას იმის შესახებ, თითქოს უკრაინის ჯარმა გენოციდი მოუწყო რუსებს, რომლებიც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ.**

თავის მხრივ, კრემლის ადვოკატებმა რუსეთის ფედერაციისთვის წაყენებული ბრალდება 8 მარტს გაასაჩივრებს, რადგან რუსეთის ფედერაცია მიიჩნევს, რომ ამ საქმეზე ჰააგის სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება. რუსული მხარის მტკიცებით, რუსეთს გენოციდი არ მოუწყვია. შესაბასამისად, არ არსებობს სასამართლო, რომლის იურისდიქციაშიც ეს საქმე მოხვდებოდა. რა ხდება რეალურად? — ამის გარკვევას Deutsche Welle შეეცადა.

## სასამართლოს სადავო იურისდიქცია

**პრობლემა ის არის, რომ ორივე მხარემ — მოსარჩელემაც და მოპასუხემაც — კონსენსუსის საფუძველზე მათ საქმეზე სასამართლოს იურისდიქცია უნდა აღიაროს.**

გიოტინგენის უნივერსიტეტის საერთაშორისო სისხლის სამართლის ექსპერტის **კაი ამბოსის** განმარტებით, ძნელად წარმოსადგენია, რომ დაგეგმილი მოსმენა ომის ქარცეცხლში გახვეული უკრაინის სასარგებლოდ რამე ხელშესახებ შედეგს გამოიღებს. და მაინც, აღნიშნული სარჩელი ყურადღების ცენტრში აქცევს საერთაშორისო სასამართლოებს, რომლებიც რუსეთის პრეზიდენტის მიერ დაწყებულ ომთან დაკავშირებულ საქმეებს განიხილავენ.

## ჩადენილი დანაშაულის გამო დაჩქარებული გამოძიება

**პარალელურად იწყება სარჩელის განხილვა სხვა საერთაშორისო სასამართლოშიც. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (შსს) გამომძიებლებმა უკვე დაიწყეს იმის გარკვევა, არიან თუ არა პასუხისმგებელი ვლადიმერ პუტინი ან კრემლის ხელმძღვანელობის სხვა წევრები უკრაინაში სამხედრო ან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებზე.**

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოვალეობაა აღასრულოს საერთაშორისო სამართალი და ცალკეული პირების დანაშაული დაადგინოს. გაეროს საერთაშორისო სასამართლოსგან განსხვავებით, მას განაჩენი გამოაქვს არა სახელმწიფოს ქმედებების კონტექსტში, არამედ — კონკრეტულ ბრალდებულ პირთან მიმართებით. **„ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია უკრაინაში ჩადენილი ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები დავამტკიცოთ“,** — განაცხადა ჰააგის სასამართლოს მთავარმა პროკურორმა კარიმ ხანმა. მან თავის პროკურორებს საქმის გამოძიება და მტკიცებულებების შეგროვება დაავალა. გამომძიებლებმა რეგიონში მუშაობა უკვე დაიწყეს, — თქვა ხანმა 3 მარტს.

## ჰააგის სასამართლოს გამოძიებას მხარს უჭერს 39 სახელმწიფო

**მთავარ პროკურორ კარიმ ხანის მუშაობას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ 39 სახელმწიფო, დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობით, გამოძიებას ოფიციალურად უჭერს მხარს.**

ეს მას საშუალებას მისცემს დაუყოვნებლივ ჩატარდეს ფართომასშტაბიანი გამოძიება და დღის წესრიგში აღარ იყოს სამი მოსამართლისგან შემდგარი ე.წ. კოლეგიის საჭიროება, — განაცხადა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლიზ ტრასმა. მისი თქმით, **„რუსეთის ბარბაროსული ქმედებები სასწრაფოდ უნდა იყოს გამოძიებული და დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს“.** გამოძიების მხარდამჭერ 39 სახელმწიფოს შორის არის ევროკავშირის თითქმის ყველა წევრი ქვეყანა, ასევე — კანადა, ახალი ზელანდია და კოსტა რიკა.

## ითანამშრომლებს თუ არა რუსეთი?

**პროფესორი ამბოსი გიოტინგენიდან მიიჩნევს, რომ არსებულ ვითარებაში უკეთესი იქნებოდა, თუ სახელმწიფოები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და მის გამომძიებლებს სოლიდარობას გამოუცხადებდნენ.**

მას შეუძლია გამოძიება აწარმოოს. თუმცა, რა თქმა უნდა, მას ექნება კიდევ უფრო მეტი ლეგიტიმაცია, თუ სახელმწიფო დონეზე უკრაინაში არსებული ვითარების მიმართ ყურადღება დამატებით იქნება მიპყრობილი“, — ხაზს უსვამს ამბოსი.

ამავდროულად, შემდგომი განხილვის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის ფედერაცია არ შეუერთდა ხელშეკრულებას (რომის სტატუტი), რომელსაც სასამართლო ეფუძნება. ამბოსის განმარტებით, რუსეთი, ისევე, როგორც ჩინეთი, სასამართლოს „მტერია“. **„მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები არიან ვალდებულნი სასამართლოსთან ითანამშრომლონ. ეს რუსეთს არ ეხება“,** — ამბობს ექსპერტი. მართალია, არც უკრაინაა მონაწილე სახელმწიფო, მაგრამ შესაბამისი განცხადების გაკეთებით ის ჰააგის სასამართლოს იურისდიქციას დაემორჩილა.

## აღმოჩნდება თუ არა პუტინი საბრალდებო სკამზე?

**„ამის სრულად გამორიცხვა არ შეიძლება. თუმცა ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ბატონი პუტინი ოდესმე სასამართლოს წინაშე წარდგეს“, — ასეთია კაი ამბოსის პასუხი ზემოთ დასმულ კითხვაზე. „როგორც წესი, პუტინის მსგავსი მმართველები თავიანთ თანამდებობებზე ყოფნისას კვდებიან და შესაბამისად, ექსტრადიციას არ ექვემდებარებიან.**

ერთ-ერთი შესაძლებლობაა ოპოზიციის მიერ პუტინის რეჟიმის დამხობა. ამის შემდეგ რუსეთის ახალ მთავრობას შეუძლია ყოფილი პრეზიდენტი ჰააგას გადასცეს“, — ამტკიცებს გიოტინგენის უნივერსიტეტის ექსპერტი. ის იხსენებს, რომ ზუსტად ასე მოხდა შარშან სუდანის ყოფილი პრეზიდენტის — ომარ ალ-ბაშირის შემთხვევაში. ამ უკანასკნელის ექსტრადიცია ქვეყნის ახალმა მთავრობამ უზრუნველყო. „ჩვენ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, როგორ განვითარდება მსოფლიო ისტორია. თუმცა საჭიროა ვიყოთ ოპტიმისტები“, — ამბობს კაი ამბოსი DW-სთან ინტერვიუში.

## უკრაინის ომის საქმეზე კიდევ ერთი სარჩელია მოსალოდნელი

**სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ შეიძლება პუტინისა და სხვა სავარაუდო დამნაშავეების დაპატიმრების საერთაშორისო ორდერი გასცეს. ამის შემდეგ ისინი შეიძლება სასამართლოს წევრ ქვეყნებში მოგზაურობის დროს დააკავონ. ასევე შესაძლებელია, რომ ცალკეული სახელმწიფოების პროკურორებმა გამოძიება დაიწყონ, როგორც ეს 3 მარტს, ლიტვაში მოხდა. მსგავსი პროცედურები შესაძლებელია გერმანიაშიც.**

2022 წლის იანვარში, სირიაში მიმდინარე ომის დროს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის კობლენცში სირიელი ექიმი გაასამართლეს. ეს იყო პირველი ასეთი სასამართლო პროცესი მსოფლიოში. „საერთაშორისო სამართლის პრინციპის“ შესაბამისად, ამგვარი სამართალწარმოება უკრაინის წინააღმდეგ ომში მონაწილე რუსებთან მიმართებითაც არის შესაძლებელი. ფედერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის ამგვარი საჩივრის შეტანა ნებისმიერ პირს შეუძლია. საქმის წარმოება ასევე შეიძლება დაიწყოს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელიც სტრასბურგში მდებარეობს.

## დონეცკში მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნეს

**დონეცკის რეგიონში რუსმა სამხედროებმა კვლავ გაუხსნეს ცეცხლი მშვიდობიან მოსახლეობას, მოკლულია ერთი და დაშავებულია 9 ადამიანი. დაჭრილთა შორის ბავშვიცაა,** — ინფორმაციას უკრაინის ნაციონალური პოლიცია ავრცელებს.

**„დაზიანდა საცხოვრებელი სახლები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ძვირფასო მოქალაქეებო, დაიცავით კომენდანტის საათი, ნუ ივლით შეუმოწმებელი მარშრუტებით — მტერი ესვრის სამოქალაქო პირების მანქანებს. ფრთხილად იყავით, ოკუპირებულ დასახლებებში რუსი ჯარისკაცები სამოქალაქო პირებს ძარცვავენ. არ შეეხოთ აუფეთქებელ ჭურვებს და გამოიძახეთ პოლიცია. ოკუპანტი მასობრივად ავრცელებს დეზინფორმაციას, ამიტომ მხოლოდ ოფიციალურ წყაროებს ენდეთ“,** — აღნიშნულია უკრაინის ნაციონალური პოლიციის განცხადებაში.





**მზია ხეთაგური**

# დევი, ანუ რუსეთი — ბოლმის ვულკანი

ჩემო უკრაინავ, უხსოვარ დროიდან
იმ „დიდი“ რუსეთის იყავი საყრდენი!
ახლა კი აღარ გცნობს და მტრად მოგევკიდა –
ბომბების გრიალში მოთქვამენ საყდრები!
ჩემო უკრაინავ, ერს ეამაყება,
უშიშრად რომ ებრძვი უხამს მოძალადეს,
მაგრამ ღმერთმა იცის, რომ მკვდრეთით აღსდგება
ძმად წოდებულებმა ვისაც უღალატეს!
ჩემო უკრაინავ, – ზღვაო მოლივლივევ,
სურამის ციხესთან სტკიოდი ლესიას!
ბრძოლები დუშმანთან ჯერ ვერ მოილიე
და ძველი ხანჯლები ხმლით აგილესია!
ხარხარებს სატანა, სისხლი სდის ფიალებს,
მსოფლიოს წინაშე გვამებზე სეირნობს!
ძალა მოვიკრიბოთ, დროშა ვაფრიალოთ,
რომ ტარას შევჩენკოს სულმაც იზეიმოს!
რუსეთს კავკასიის დაპყრობა სწყურია,
თან სურს, ზღვით შეავსოს რუები თავისი!
ეს ყველამ გაიგო, ვისაც კი ყური აქვს,
მაგრამ ევროპაში ბომბის ხმა არ ისმის!
ჩემო უკრაინავ, ჩვილ ბავშვთა ხმებია,
ზეცად რომ აფრინდნენ ნეტართა ლოცვებით...
საფლავნი მიწაზე ამოიყრებიან,
ვით მკერდზე რძეგამშრალ დედათა ბორცვები!
შეწყდება გრიალი, აპრილი დადგება,
კვლავ ძველი დიდების მზით შეიმოსები
და მთელ მსოფლიოში ცად აღიმართება
ის მამხილებელი სირცხვილის ბოძები!
თუმც ვერ შეურაცხვყოფთ ამ მწარე რუტინით
პუშკინ – ესენინი გვიყვარდა ვისაც კი!
ზეციდან აგინებს ვლადიმირ პუტინებს
ჩვეულ ბობოქრობით, ვლადიმერ ვისოცკი!
მაგრამ რომც აგინო, ამით რა გამოვა? –
რუსეთის „სერპ-მოლოტს“ კვლავ გასდის პრიალი! –
ერთ თავს თუ მოაჭრი, მეორე ამოვა
ამ პუტინ – პუტინთან მსგავს - მსგავსთა სრიალით!
რუსეთის იმპერია ბოღმის ვულკანია,
დევი რა დევია, თუ დათმო დევობა!
ჩემო საქართველოვ, ჩემო უკრაინავ,
დევს ვერ დაგიმარცხებს ვერც ნატო - ევროპა!
მაგრამ არ დავნებდეთ, მაგრამ არ მივწყნარდეთ,
გულიდან სამშობლო რომ არ ამოგვიჭრან...
გვიყვარდეს ღმერთი და მოყვასი გვიყვარდეს,
დევი კი იმ თავებს თავად ამოიჭამს!

# ჩაპას წერილი მსოფლიოს ძაღლებსა და ადამიანებს



**კიევიდან დევნილი რაულ ჩილაჩავა პოლონეთის საზღვართან**

**მე ერთი ჩვეულებრივი ძაღლი ვარ, მუყაოს ყუთში მიპოვეს ჯერ კიდევ თვალაუხელელი ლეკვი და ჩაპა დამარქვეს. მალე გავიგე, რომ ჩემს ნათლიებს ია და რაული რქმევიათ. ხოლო ქალაქი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, კიევი ყოფილა. მას შემდეგ შვიდი წელი გავიდა და ძაღლის კვალობაზე მთლად პატარაც არ მეთქმის. ასე რომ, ვიცი, რასაც ვამბობ და დამეჯერება კიდეც.**

გარეთ, ქუჩაში, თოვლსა და ყინვაში არასოდეს მიცხოვრია, სულ მანებივრებდნენ, თავს მევლებოდნენ, ალერსსა და სიყვარულში მზრდიდნენ. პირველი შოკი მაშინ განვიცადე, როცა ია, რომელსაც შვილებში არ გამოვერჩეოდი, უცებ გაქრა, სადღაც გაუჩინარდა და მანამდე ჩვენს ბედნიერ ჭერქვეშ ერთბაშად სიცარიელემ და მწუხარებამ დაისადგურა. მაგრამ, ეტყობა, ადამიანებისა არ იყოს, საბოლოოდ ცხოველშიც იმარჯვებს სიცოცხლის წყურვილი. ახლა უკვე რაული გახდა ჩემი უახლოესი მეგობარი და ცხოვრებაც თითქოს კალაპოტში ჩადგა. ვცდილობდი, მისთვის მუშაობაში ხელი არ შემეშალა, თუმცა ჩვენ ვახერხებდით, ყოველდღე გვესეირნა ჩვენი პატარა, ვერცხლისფრად მოლივლივე ტბის ძეწნებით დაყურსულ სანაპიროზე, ვტკბებოდით ულამაზესი აისებითა და დაისებით, დავრბოდით, ვერთობოდით...

მაგრამ ერთ ავბედით ღამეს ეს ყველაფერი უცებ დასრულდა, გაისმა მოულოდნელი გრუხუნი და მე შინაგანმა იდუმალმა ხმამ მიკარნახა, რომ რაღაც გამოუსწორებელი და საშინელი მოხდა. გათენებას ჯერ კიდევ ორიოდე საათი აკლდა, მაგრამ ჩვენ უკვე ფეხზე ვიყავით და სულ უფრო და უფრო გვეუფლებოდა განგაშის განცდა. მთელი დღე უგუნებოდ გავატარე, ცუდი წინათგრძნობა მქონდა, გუმანით ვხვდებოდი, რომ ზღურბლზე ახალი უბედურება იდგა და მასთან შეხვედრა გარდაუვალი იყო. არც შევმცდარვარ. დღე უკვე იწურებოდა, როცა ბინის კარი საგულდაგულოდ ჩავრაზეთ და ერთი მოზრდილი ჩანთის ამარა მანქანაში ჩავსხედით.

ძალიან მიყვარს, როცა უკანა სავარძელზე მოვიკალათებ ხოლმე და ოჯახთან ერთად აგარაკზე მივემგზავრები. მინდოდა მეფიქრა, რომ გეზს ახლაც იქითკენ ავიღებდით, მაგრამ როცა გზა უსაშველოდ გაიწელა, მივხვდი, სულ სხვა მხარეს მივდიოდით. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, თავი რაულის მუხლებზე მედო და ვერ გამეგო, ისეთი რა უნდა მომხდარიყო, რომ მთელი ოჯახი ასე ერთბაშად ავიყარეთ და შეუჩერებლად სადღაც მივექანებით. ერთ დღე-ღამეში თითქმის მთელი უკრაინა გადავსერეთ და ბოლოს, როგორც იქნა, რომელიღაც პატარა ქალაქის მყუდრო სასტუმროში დავბინავდით. სასტუმროში ძაღლებს, მგონი, არ უშვებდნენ, მაგრამ მე არათუ შემიშვეს, დერეფანში სირბილის ნებაც დამრთეს. მომეშვა გულზე, ალბათ სამოგზაუროდ ვართ და ყველაფერი რიგზეა-მეთქი.

სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ის იყო, ნამგზავრზე ცოტა დასვენება გადავწყვიტეთ, რომ სირენის შემზარავმა ღმუილმა გააყრუა იქაურობა. რაულმა სასწრაფოდ ხელში ამიტაცა და ჩვენი სასტუმროს ყველა ბინადართან ერთად სარდაფში ან უფრო სწორად ბუნკერში დავიმალეთ, რომელიც ბომბსაფარი გამოდგა. და მე იქ პირველად გავიგონე მრისხანე და სასტიკი სიტყვა: „ომი“! მთელი ის ათი დღე, რაც იმ სასტუმროში, უფრო სწორად მის ბუნკერში გავატარეთ, საჰაერო განგაშის სირენა განსაზღვრავდა ჩვენს სადღეღამისო რეჟიმს. და მე ლამის შევეჩვიე ამნაირ ყოფას, როცა მანქანაში კვლავ ჩავალაგეთ მწირი ბარგი, დავტოვეთ სასტუმრო და ჩემთვის კვლავ გაურკვეველი მიმართულებით გავწიეთ.

გზაზე ყველგან ბლოკპოსტები მოეწყოთ, მოძრაობას მთლიანად იარაღასხმული ადამიანები აკონტროლებდნენ. მანქანა უზარმაზარ საცობში აღმოჩნდა და წინ კუს ნაბიჯებით მივიწევდით. ბოლოს საერთოდ გავჩერდით, მანქანა ბენზინგასამართ სადგურთან დავტოვეთ და ექვსკილომეტრიანი გზა ფეხით გავაგრძელეთ. უშველებელ, ცოცხალ ნაკადში მეორე ახალი სიტყვაც გავიგე: „ლტოლვილი“! აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! ჩვენ ლტოლვილები ვართ და თავს თუ არ ვუშველეთ, ვიღაც კაციჭამიას გიჟური აკვიატების გამო ტყვიებს გვესვრიან, რაკეტებს დაგვიშენენ, ბომბებს დაგვაყრიან. ლტოლვილთა ამ ზღვაში უამრავი ჩემი თვისტომი მხვდება და მე მათ მიმართაც მადლიერებით ვივსები, ვინც ამ უმძიმესი განსაცდელის ჟამს ისინი არ მიატოვა.

სხვათა შორის, კრემლში მჯდომ იმ კაციჭამიასაც ჰყავს თურმე ძაღლი, რომელიც, ალბათ, უყვარს კიდეც, თუკი მისთვის საერთოდ ნაცნობია ასეთი გრძნობა. მე მინდა მივმართო მას: **რას გვერჩით, რა დაგიშავეთ, რატომ გვხოცავთ, რატომ გვინგრევთ სახლ-კარს, რატომ ემუქრებით მთელ მსოფლიოს ატომური კატასტროფით? იქნებ მოეგოთ გონს, სანამ ჯერ კიდევ დროა და შეწყვიტოთ ბარბაროსული სისხლისღვრა?**

შვიდი საათის მანძილზე ყინვაში დგომის მერე მე ჩემებთან ერთად გადავედი პოლონეთში, სადაც თბილად მიგვიღეს, დაგვაპურეს და თავშესაფარიც მოგვცეს. უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე რაულმა რომ ჩამიხუტა და ერთმანეთის გათბობას ვცდილობდით, ამ წერილის დაწერა სწორედ მაშინ გადავწყვიტე. იმ გაუსაძლის დილას სურათიც გადაუღიათ ჩვენთვის.

ახლა აცრილიც ვარ, საზღვარგარეთის პასპორტიც მაქვს და მალე საქართველოში, რაულის სამშობლოში გავფრინდები. თითქოს სამშვიდობოს გავაღწიე, მაგრამ მადარდებს მათი მდგომარეობა და მომავალი, ვინც არ იცის, საით წავიდეს, რა იღონოს, როგორ გადარჩეს.

მოგმართავთ მთელი მსოფლიოს ძაღლებსა და ადამიანებს: ნუ დავკბენთ მათ, ვისაც არაფერი დაუშავებია, ნუ გამოვუტანთ სასიკვდილო განაჩენს მათ, ვისაც სიცოცხლე სწყურია! ჩვენ ეს შეგვიძლია და ჩვენ ეს უნდა ვქნათ, რათა დედამიწაზე არსებული ყველა ენიდან გაქრეს ორი საშინელი სიტყვა: „ომი“ და „ლტოლვილი“. მე ვნახე და გამოვცადე ორივე, ამიტომ არავის ვუსურვებ მათ ნახვას და განცდას. ორად ორი სიტყვა, რომელიც ამჟამად მიტრიალებს თავში, არის „მშვიდობა“ და „სიყვარული“. არ მოგკლებოდეთ არც ერთი და არც მეორე. თავს გაუფრთხილდით. ერთმანეთსაც.

**გულწრფელად,**
**თქვენი ჩაპა.**

**ვარშავა, 7 მარტი, 2022**

**P.S.** **სულ ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ წერა-კითხვა საერთოდ არ ვიცი, არათუ ქართულად, უკრაინულადაც ვერ დავწერ ორ სიტყვას, ამიტომ ეს ყველაფერი რაულს ვუკარნახე, რომელიც აქვე უფრო სრულად მინდა წარმოგიდგინოთ:**

**რაულ ჩილაჩავა, პოეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, უკრაინის სახალხო პოეტი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში 2006-2010 წლებში, შოთა რუსთაველის პრემიისა და მრავალი სხვა პრემიის ლაურეატი, სამი სხვადასხვა ქვეყნის ორდენების კავალერი.**




# ჯარისკაცები არავის მოუმზადებია ომისთვის

**რა მდგომარეობაშია დღეს რუსეთის ჯარი? რა განწყობა აქვთ ჯარისკაცებს და როგორია ამ ყველაფრის ტექნიკური მხარე. CURRENT TIME ესაუბრა რუსლან ლევიევს, ხელმძღვანელს ორგანიზაციისა CONFLICT INTELLIGENCE TEAM.**

**— რა ინფორმაცია გაქვთ რუსული ჯარის გადაადგილების შესახებ?**

— ბეტეერები, რომლებსაც კამუფლაჟიც კი არა აქვს, თითქოს ქარხნიდან ახლა გამოიყვანეს, გვაფიქრებინებს, რომ ისინი რომელიმე სამობილიზაციო რეზერვიდან ჰყავთ წამოყვანილი. როგორც ჩანს, ტექნიკის ნაწილი უთავდებათ და სათადარიგო რაც არის, იმით ანაცვლებენ. ის ჯგუფები, რომლებიც დამარცხდნენ, ისიც რუსეთში დააბრუნეს და ახლა მათ გადაკომპლექტებას ცდილობენ. ახალ კონტრაქტორებს მთელ ქვეყანაში აგროვებენ, რომ ჯფუგები დააკომპლექტონ და საბრძოლველად გაუშვან.

**— რა დროს ანდომებენ კომპაქტირებას? ამ დღეებში შეტევები თითქოს ისეთი ძლიერი არ იყო, როგორც წინა კვირას, რამდენი ხანი შეიძლება გაგრძელდეს ეს პაუზა?**

— პაუზა უფრო იმას ემსახურება, რომ შეიქმნას წარმოდგენა, ვითომ რუსეთი სთავაზობს ჰუმანიტარულ დერეფანს უკრაინას და ამიტომაც არის სიმშვიდე. ამასთან, უკრაინის სწრაფად დაპყრობა, ვხედავთ, რომ არ გამოუვიდათ, შემდეგი გეგმა — ძირითადი ქალაქების ალყაში მოქცევა — ესეც დიდად ვერ განხორციელდა. ხარკოვიც კი, რომელიც ფაქტობრივად რუსეთის საზღვარზეა, ჯერაც არ არის ბლოკადაში. ამიტომაც ახლა ჯგუფების გადაწყობა, ახალი გეგმების დასახვა, მომარაგება სჭირდებათ, რომ ძალები ახალ მასშტაბურ ომში გადაისროლონ. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხარკოვზე გუშინ უცებ ისეთი იერიში მიიტანეს, როგორიც წინა დღეებში არ გვახსოვს. ბევრი საცხოვრებელი სახლი დაანგრიეს.

თავად ჯარების ხელახალი კომპლექტირება იმაზეა დამოკიდებული, თუ საიდან მოდიან კონტრაქტორები. თუ ნარო-ფომინსკიდან მოჰყავთ, ამას ერთი კვირა სჭირდება, თუ პრიმორიეს მხარიდან (იქიდან ტექნიკასაც ეზიდებიან) — მინიმუმ ორი კვირა.

**— თუ შეგვიძლია შევაფასოთ, რუსეთის ჯარის განწყობა როგორია?**

— განწყობა იცვლება. არის შემთხვევები, როდესაც კონტრაქტორები უარს ამბობენ ბრძოლაზე. ამ დროს მათ მეთაურები ემუქრებიან, აძალებენ, შეიძლება ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. თუ მაინც უარს იტყვის, სადღაც მიჰყავთ, როგორც ჩანს, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს იწყებენ, აპატიმრებენ. ასეთი შემთხვევები, როდესაც ჯარისკაცები ბრძანების შესრულებას უარობენ, ერთეულებია, თუმცა, ვინც საზღვარზე დგას, უკვე ყველამ კარგად იცის, რომ ეს ომია და არა წვრთნები, რომ ბევრი კვდება და საერთოდ გაუგებარია, რისთვის უნდა იბრძოლონ. ასე რომ, განწყობა კარგი არა აქვთ.

**— ანუ არ არიან მოტივირებულები.**

— კი, ასეა. ისინი არავის მოუმზადებია ომისთვის, წვრთნებს ელოდნენ და თებერვლის ბოლოს, მათი წარმოდგენებით, უკვე სახლებში უნდა ყოფილიყვნენ. ჯერ საზღვარზე როცა იდგნენ, მაშინაც არ ჰქონდათ კარგი პირობები, შიოდათ, ზოგი სპორტულ დარბაზებში ჰყავდათ, ზოგი კიდევ სად. ამის გარდა, არიან კიდევ, ე.წ. კონტრაქტორები, იგივე წვევამდელები, რომლებმაც ჯარი მოიხადეს, მაგრამ შემდეგ უთხრეს — ორი-სამი თვით წვრთნებზე გაგიშვებთ, ამაში კარგ ფულს გადაგიხდით, რომ დასრულდება „წვრთნები", კონტრაქტს დავხევთ და სახლში წახვალთო. ზოგს შანტაჟით და ძალით აიძულეს კონტრაქტის დადება. ამიტომ ახლა ვხედავთ წვევამდელებს, რომლებსაც კონტრაქტი ფორმალურად კი აქვთ გაფორმებული, მაგრამ სინამდვილეში 18-19 წლის ბიჭები არიან და ხეირიანად სროლაც არ შეუძლიათ.

**— რა დანაკარგი აქვს ახლა რუსეთს? არა მხოლოდ დაღუპულებზე, დაჭრილებზეც ვსაუბრობ. ინფორმაცია იყო ყირიმიდან, რომ იქაურ საავადმყოფოებში ათასობით დაშავებული წევს, რომ დაჭრილები ბელარუსში, ქალაქ გომელში მიჰყავთ.**

— მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგშიც მიჰყავთ. არანაკლებ 5 ათასი დაჭრილია, რაც შეეხება დაღუპულებს, ასე 2 ათასს ვგულისხმობთ. ეს ის რიცხვებია, რომლის დამტკიცებაც ნამდვილად შეგვიძლია.

**— გავრცელდა ვიდეო, რკინიგზით მოჰქონდათ ტექნიკა „Z?"-ით აღნიშნული, მათ შორის სამოქალაქო ტრანსპორტი, მანქანები. ნახეთ ეს ვიდეო?**

— ჩვენ მსგავსი კოლონა ბელარუსში ვნახეთ. მთელი კოლონები, ყველაზე მეტად რამაც გამაკვირვა, სატვირთო მანქანები იყო „Z"-ით აღნიშნული. საერთოდ ვერ ვხდებით, რაში უნდა გამოიყენონ. ავტობუსები კიდევ ჰო, დაჭრილებს წაიყვანენ მათი მეშვეობით, სატვირთო მანქანები რად უნდათ? ვვარაუდობთ, რომ ასეთი სამოქალაქო ტრანსპორტი უფრო ეროვნული გვარდიისთვის სჭირდებათ, რადგან ჯარს მაინც აქვს თავისი სპეციალური ტრანსპორტი.

**— რატომ აწერენ „Z"-ს, განსაკუთრებით სამოქალაქო ტრანსპორტს?**

— თავდაპირველად ეს აღნიშნავდა სამხედრო ოლქს. ასე მეთაურებისთვის ადვილი იყო თვალყური ედევნებინათ, სად არიან მათი ერთეულები. მერე როცა ბრძოლა გაჩაღდა, პროპაგანდისტებმა ეს „ზა პაბედუს" ნიშნავსო. ახლა, როდესაც ამ ასოს სამოქალაქო ტექნიკაზე ვხედავთ, ის როგორც ჯარისკაცზე თეთრი ლენტა, ისეა.

**— ასევე მინდა გკითხოთ Maxar Technologies-ის მიერ გადაღებული 60-კილომეტრიანი კოლონის შესახებ, რომელიც კიევთან დგას. წერენ, რომ არა აქვთ საწვავი, ტალახში ჩაეფლნენ. რას ფიქრობთ, აქვს შანსი, რომ ეს კოლონა კიევამდე მივიდეს?**

— მართლაც უკვე რამდენიმე დღეა დგას და დიდად წინ ვერ მიდის. გზა ვიწროა, ორზოლიანი, სამხედრო მანქანა კი — ათასობით. ერთიც რომ გაფუჭდეს, ან საწვავი გაუთავდეს, მეორეს ხერგავს. თუ დახმარების გამოძახება სჭირდებათ, დამხმარე მანქანამაც ამ სივიწროვეში უნდა გაიაროს და ვერ მიდის. თეორიულად შეუძლიათ, რომ გაფუჭებული და საწვავგამოლეული ტექნიკა გვერდზე დატოვონ, დარჩენილი საწვავი სხვებში ჩაასხან, მაგრამ ჯერ ვხედავთ, რომ დგანან.

**— რა აზრი ჰქონდა ამგვარი კოლონის იქ წასვლას?**

— ალბათ ფიქრობდნენ, რომ მალე შევიდოდნენ კიევში და ეგრევე აიღებდნენ...

# ჩერნობილის ატომური სადგურის თანამშრომლები ფსიქოლოგიური და ფიზიკური წნეხის ქვეშ არიან



**„თითქმის 2 კვირაა, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომუშავე ადამიანები ფსიქოლოგიური და ფიზიკური წნეხის ქვეშ არიან",** — ამბობს სლავუტიჩის მერი იური ფომიჩევი BBC-სთან საუბრისას.

ბრიტანული მაუწყებელი წერს, რომ, შესაძლოა, სტრესმა, ფსიქოლოგიურმა და ფიზიკურმა წნეხმა, გავლენა იქონიოს ელექტროსადგურის თანამშრომელთა უნარზე, შეასრულონ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თავიანთი მოვალეობები. სლავუტიჩის მერის თქმით, ამ პირობებში, მუშებს კონცენტრაცია სულ უფრო და უფრო უჭირთ, რაც საფრთხეს ქმნის. ბრიტანულ მაუწყებელთან საუბრისას, მერმა აღნიშნა, რომ ოკუპანტების ხელში აღმოჩენილ სადგურში 2 400-მდე ადამიანია — მეცნიერები, ტექნიკური, სამედიცინო პერსონალი და მზარეულები.

**„მათ ადგილზე გარკვეული რაოდენობის საკვები აქვთ, თუმცა, რადგან არ იციან, რამდენი ხნით მოუწევთ იქ დარჩენა, დღეში მხოლოდ ერთხელ ჭამენ. მათი ძირითადი საკვები პური და ფაფაა",** — ამბობს მერი. მისივე თქმით, ამ ადამიანებისთვის შეზღუდულია მედიკამენტებზე წვდომაც. ფომიჩევი ამბობს, რომ ამჟამად არ არსებობს მათი ტერიტორიიდან გაყვანის უსაფრთხო გზა.

# უკრაინის გენშტაბის ცნობით, მოკლულ ოკუპანტთა რაოდენობამ 12 ათასს გადააჭარბა



**უკრაინის თავდაცვის სამინისტრო აქვეყნებს განახლებულ მონაცემებს (24 თებერვალი — 7 მარტი)** — იმის შესახებ, თუ რა დანაკარგი აქვს რუსულ ჯარს. უწყება განმარტავს, რომ ციფრები მიახლოებით მონაცემებს ასახავს.

სამხედრო პერსონალი — 12 000-ზე მეტი; ტანკები — 303; ჯავშანტექნიკა — 1036; საარტილერიო სისტემები — 120; ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა — 56; თვითმფრინავები — 48; ვერტმფრენები -80; საჰაერო თავდაცვის საშუალებები — 27; საავტომობილო ტექნიკა — 474; საწვავის ავზები — 60; უპილოტო საფრენი აპარატი ỤỤỤ — 7.

# ხარკოვთან რუსი გენერალი მოკლეს



**ხარკოვთან საბრძოლო მოქმედებების დროს რუსი გენერალ-მაიორი ვიტალი გერასიმოვი მოკლეს. როგორც BBC წერს, ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველო ავრცელებს.**

რუსულ მხარეს გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია. რუსეთის 41-ე არმიის გენერალ-მაიორი ვიტალი გერასიმოვი ჩეჩნეთის მეორე ომში, სირიის სამხედრო ოპერაციასა და ყირიმის ანექსიაში მონაწილეობდა.

# ლუგარის ლაბორატორიას ისევ მოსკოვიდან უტევენ!

**მოსკოვი კვლავ ირწმუნება, რომ „საქართველოში ღორის ე.წ. აფრიკული ჭირის შტამი გამოიყვანეს".**

კერძოდ, რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარების ხელმძღვანელი, გენერალ-ლეიტენანტი იგორ კირილოვი აცხადებს, რომ „ღორის ე.წ. აფრიკული ჭირი, რომელიც 2007 წლიდან აქტიურად ცირკულირებს, საქართველოში არსებულ ლაბორატორიაშია გამოყვანილი".

**„ვთვლით, რომ ეს შტამი, რომელსაც მომეტებული კონტაგიოზურობა ახასიათებს, პენტაგონს დაქვემდებარებულ ქართულ ლაბორატორიაშია კონსტრუირებული. მისმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მოუტანა მთელ რიგ სახელმწიფოებს, უკრაინისა და პოლონეთის ჩათვლით, რომლებიც ღორის ხორცის ექსპორტიორთა რიგებიდან განკვეთა",** — ირწმუნება კირილოვი.

რუსი ჩინოსნები და მედიასაშუალებები ლუგარის ლაბორატორიის თემას ხშირად უბრუნდებიან, როგორც კი რუსეთს საქართველოზე მორიგი პოლიტიკური ზეწოლის განხორციელების საჭიროება დგება.

2013 წელს რუსეთის იმჟამინდელმა მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ განაცხადა, რომ „შტამი, რომელმაც რუსეთში პირუტყვის მასობრივი ვარდნა გამოიწვია, ქვეყანაში სწორედ საქართველოდან მოხვდა".

**თბილისში ლუგარის სახელობის ლაბორატორიის გახსნის დროიდან — 2011 წლიდან, რუსული მედია სისტემატურად ცდილობს იმ ცრუ აზრის დამკვიდრებას, რომ ცენტრში ამერიკელების დაკვეთით საშიში ვირუსების შტამები, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღები მზადდება, ხოლო შემდეგ რუსულ მედიაზევე დაყრდნობით ანალოგიურის მტკიცებას ცდილობენ რუსი, აფხაზი და ოსი ჩინოსნები. 2018 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მოწვევით ლაბორატორია მსოფლიოს 17 ქვეყნის წარმომადგენელმა ექსპერტებმა შეამოწმეს. მათ დასკვნაში ერთმნიშვნელოვნად არის აღნიშნული, რომ ლუგარის ცენტრი მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით მუშაობს. 2020 წლის 3 სექტემბერს საქართველოს შსს-მ ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე კიბერშეტევის შესახებ განაცხადა. მისი ინფორმაციით, 1 სექტემბერს ჰაკერებმა სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციის ხელში ჩაგდება სცადეს, მათ შორის, ლუგარის სახელობის ლაბორატორიის ბაზებიდან. გასული წლის სექტემბრიდან რუსულ მედიაში ამ ლაბორატორიის სახელის გამოყენებით აქტიური სადეზინფორმაციო-პროპაგანდისტული კამპანია განახლდა.**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბესიკ ბალიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** ბესიკ ბალიაშვილი (პ/ნ 05001011555), რუსთავი, მე-12 მ/რ, №35, სართ. 8, ბინა №15

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

რუსთავი, მე-12 მ/რ, №35, სართ. 8, ბინა №15 (საკადასტრო კოდი: 02.02.04.042.01.015).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 24571.16 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 9 მარტი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 23 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP77617922;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 776179

6. **მოვალე:** ბესიკ ბალიაშვილი (პ/ნ 05001011555), რუსთავი, მე-12 მ/რ, №35, სართ. 8, ბინა №15;

ეკატერინე კეღოშვილი (პ/ნ 01019074144), თბილისი, ჯავის ქუჩა, გრუზინსკის 1

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP77617922; ლოტის ნომერი: 776179).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 23 მარტის 10:00 საათამდე.

# სამუზეუმო რეფორმა გრძელდება

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 3 მარტის №05/05 ბრძანების საფუძველზე, გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი და იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი მუზეუმთა ცალკე ჯგუფად ჩამოყალიბდა.**

სამინისტროს ცნობით, ცვლილება მიზნად ისახავს მუზეუმების საქმიანობის უფრო მაღალ სტანდარტზე გადასვლას. ცვლილების თანახმად, მუზეუმთა ჯგუფს გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის დირექტორი უხელმძღვანელებს. შესაბამისად, ამ პოზიციაზე ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი, ნინო ჭიპაშვილი დაინიშნა.

მოცემული ცვლილების ძალაში შესვლამდე, იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმთან იყო გაერთიანებული.



**„2022 წლის 3 მარტის ბრძანების თანახმად, დირექტორს დაევალა, მოცემულ პოზიციაზე დანიშვნიდან 4 თვის ვადაში, სამინისტროს წარმომადგენლის ჩართულობით, სამუზეუმო ექსპონატების აღწერა/დადარების პროცესის წარმართვა, დასრულება და კულტურის მინისტრისათვის შესაბამისი ანგარიშის წარდგენა, რათა ნათელი იყოს, როგორი ინფრასტრუქტურა და რა ქონება გადაიბარა მუზეუმთა ჯგუფის ახალმა დირექტორმა. აღსანიშნავია, რომ შტატით გათვალისწინებული და შტატგარეშე მოსამსახურეები, რომლებიც ბრძანების ძალაში შესვლის დროს დასაქმებული იყვნენ ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა გაერთიანებაში შემავალ ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და თბილისის ისტორიის მუზეუმში, მუშაობას გააგრძელებენ იმავე თანამდებობებზე/პოზიციებზე, მათთვის დაკისრებული ფუნქციებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით.**

**ზემოხსენებული მუზეუმების გაერთიანება და მუზეუმთა ჯგუფად ჩამოყალიბება არის გაგრძელება იმ სამუზეუმო რეფორმის, რომელიც გულისხმობს კარგი მმართველობის თანამედროვე პრინციპების დანერგვას მუზეუმებში. როგორც ცნობილია, კულტურის სამინისტრომ სამუზეუმო სფეროში ძირეული ინსტიტუციური რეფორმები 2021 წელს დაიწყო. 2021 წლის გაზაფხულზე, კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით, მუზეუმების ეფექტიანი და მოქნილი მართვის მიზნით, ეროვნულ მუზეუმს გამოეყო მუზეუმთა ჯგუფები და მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა 4 მუზეუმი/მუზეუმთა ჯგუფი: 1. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; 2. ქართული სპორტის მუზეუმი; 3. გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი; 4. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, რომელიც ასევე მოიცავს 7 მუზეუმს და ორ კვლევით ცენტრს. 5. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი“,** – აცხადებენ კულტურის სამინისტროში.

# ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2021 წლის ფინანსური ანგარიში

2021 წელს სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით არის **128139** ლარი.

2021 წლის ხარჯებმა შადგინა **110331** ლარი.

2021 წელს ჩატარდა 63 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ვეტერანების მატერიალური დახმარება, ომის მონაწილეს 2 ვეტერანთან შეხვედრა, გაზეთში ვეტერანების ნეკროლოგების განთავსება – სულ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებზე დაიხარჯა - **45726** ლარი. ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა **60757** ლარი, საკანცელარიო ხარჯი **671** ლარი, კომუნიკაციური მომსახურეობა **577** ლარი, ბანკის მომსახურეობის საკომისიო **282** ლარი, კომპიუტერის ხარჯი **244** ლარი, დარიცხული 2021 წლის ამორტიზაცია **705** ლარი, დარიცხული ქონების გადასახადი **13** ლარი, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა **187** ლარი, აუდიტის მომსახურეობა **500** ლარი, ოფისის იჯარა **600** ლარი, მარაგის ჩამოწერა **69** ლარი.

| აქტივი | კოდი (სტრიქ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს | პასივი | კოდი (სტრიქ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | | | **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| ნაღდი ფული სალაროში - 1110 | 10 | 357,00 | 39,00 | მოწოდებიდან და მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები-3110 | 310 | 32,00 | 32,00 |
| ფული საბანკო ანგარიშებზე - 1210 | 20 | 11982,00 | 12252,00 | მიღებული ავანსები-3120 | 320 | | |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან - 1410 | 40 | 4600,00 | 5800,00 | გადასახდელი ხელფასები-3130 | 330 | | |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ - 1420 | 41 | | | გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი-3380 | 370 | | 1,00 |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ-1430 | 60 | | | **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | 32 | 33,00 |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები-1490 | 90 | | | **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | 16939,00 | 18091,00 | სხვა საოპერაციო შემოსავლები - 6190 | 610 | 18029,00 | 23522,00 |
| **სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | | გაუნაწილებელი მოგება-5310 | 540 | | |
| წინასწარ გაწეული ხარჯები-1700 | 160 | 162,00 | | დაუფარავი ზარალი-5320 | 550 | | |
| მარაგები -1690 | 170 | 448,00 | 2275,00 | **სულ საკუთარი კაპიტალი** | | 18029,00 | 23522,00 |
| **სულ მატერიალური მარაგი** | | 610,00 | 2275,00 | **სულ ვალდებულებები და საკუთრი კაპიტალი** | | 18061,00 | 23555,00 |
| **სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | | | | |
| ოფისის აღჭურვილობა-2160 | 230 | 512,00 | 3189,00 | | | | |
| სხვა ძირითადი საშუალებები-2190 | 250 | | | | | | |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | 512,00 | 3189,00 | | | | |
| **სულ აქტივები** | | 18061,00 | 23555,00 | | | | |
| | | | | | | | |

**თავმჯდომარე იაშა ბოლქვაძე; ბუღალტერი ციცინო ბენაშვილი; ფინანსური მენეჯერი ნინო ჩირგაძე.**

◉ ოვალური ბურთი




# დასკვნითი თამაშებისთვის

**„ბორჯღალოსანთა“ სამწვრთნელო შტაბმა 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ორი დასკვნითი შეხვედრისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.**

ისტორიაში თავის 250-ე ტესტ-მატჩს ჩვენი გუნდი 12 მარტს ბუქარესტში, რუმინეთის წინააღმდეგ გამართავს, 20 მარტს კი ესპანეთს „დინამო არენაზე“ დაუხვდება. შეგახსენებთ, რომ შარშანდელთან ერთად, წლევანდელი რაგბი ევროპის ჩემპიონატი 2023 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა.

გუნდს დაუბრუნდნენ ტრავმირებული მოთამაშეები – **დავით ნინიაშვილი, სანდრო თოდუა, ბექა სალინაძე და ბექა გიგაშვილი**. ასევე გამოძახებულთა შორის არიან **ბექა გორგაძე** და **გიორგი კვესელაძე.**

სულ გამოძახებულთა შორის 19 მორკინალი და 15 ხაზის მოთამაშეა. მათგან ორს – ბურჯ **ნიკა აბულაძეს** და მესამეხაზელ **ლუკა ივანიშვილს** ნაკრების კვართით ჯერ არ უთამაშიათ.

დანაკლისის და ტრავმიდან დაბრუნებული მოთამაშეების, ასევე მომავალი მეტოქეების შესახებ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლევან მაისაშვილი** ამბობს:

**„ოთარ გიორგაძეს კოვიდი დაუდასტურდა. ტრავმის გამო გამოგვაკლდა ლუკა ჯაფარიძე და მის ნაცვლად გია ხარაიშვილს ვუხმეთ. პირადი მიზეზების გამო დაგვაკლდება გიორგი მელიქიძე. ტრავმიდან გვიბრუნდებიან ბექა გიგაშვილი და ბექა სალინაძე. ვიმედოვნებ, რომ ისინი სათამაშოდ მზად იქნებიან. ამ კვირაში შიდა ჩემპიონატების თამაშებია და ასევე ვიმედოვნებ, რომ გამოძახებულ მორაგბეთაგან არავინ დაგვაკლდება. ხანგრძლივი ტრავმიდან ბრუნდება სანდრო თოდუა. ის მზად იყო „ენისეისთან“ ეთამაშა, თუმცა ეს შეხვედრა გაუქმდა და ამ კვირაში კლუბში ითამაშებს. დავით ნინიაშვილმა რუსეთთან თამაშის კვირაშიც ივარჯიშა და იმედია კარგ ფორმაში იქნება.**

**ვნახეთ ორივე გუნდის თამაში და ისინი საუკეთესოდ არიან მომზადებული. ამას ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, გარდა იმისა, რომ უფრო მეტად ყურადღებით უნდა ვიყოთ. ორივე თამაშის მოგებას ვგეგმავთ. ეს არ იქნება იოლი, რადგან ისინი მსოფლიო თასზე მოსახვედრად იბრძვიან. გარდა ამისა, ყველა განსაკუთრებულად ემზადება ჩვენთან თამაშისთვის, რადგან სურთ, რაგბი ევროპის ჩენპიონატზე საქართველოს გამარჯვებების სერია შეწყვიტონ. ეს ყველას კარგად გვესმის და გვაქვს იმედი, რომ ყველაფერი იმ სცენარით წარიმართება, როგორც ჩვენ გვინდა“.**

### შერჩევა

**ბურჯები:** გურამ გოგიჩაშვილი (რასინგ 92, 27 კეპი, 10 ქულა), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, 69 კეპი, 10 ქულა), ნიკა აბულაძე (შავი ლომი, უკეპო), ბექა გიგაშვილი (ტულონი, 26 კეპი, 10 ქულა), ნიკოლოზ ხატიაშვილი (შავი ლომი, 7 კეპი), გია ხარაიშვილი (რასინგ 92, 5 კეპი);

**კვაჭები:** შალვა მამუკაშვილი (შავი ლომი, 86 კეპი, 55 ქულა), ჯაბა ბრეგვაძე (აჟენი, 67 კეპი, 25 ქულა), გიორგი ჭყოიძე (ლოკომოტივ-პენზა, 20 კეპი, 15 ქულა);

**მეორე ხაზი:** კოტე მიქაუტაძე (ბეიონი, 70 კეპი, 10 ქულა), ლაშა ჯაიანი (შავი ლომი, 14 კეპი), ნოდარ ჭეიშვილი (შავი ლომი, 35 კეპი), გრიგორ ქერდიყოშვილი (აჟენი, 8 კეპი, 10 ქულა);

**მესამე ხაზი:** ბექა გორგაძე (პო, 33 კეპი, 40 ქულა), გიორგი ცუცქირიძე (ორიაკი, 24 კეპი, 15 ქულა), თორნიკე ჯალაღონია (ბიარიცი, 14 კეპი, 20 ქულა), ბექა სალინაძე (ლიონი, 25 კეპი, 15 ქულა), ლუკა ივანიშვილი (შავი ლომი, უკეპო), სანდრო მამამთავრიშვილი (შავი ლომი, 2 კეპი);

### ხაზი

**ღერძი:** ვასილ ლობჟანიძე (ბრივი, 62 კეპი, 65 ქულა), გელა აფრასიძე (მონპელიე, 37 კეპი, 24 ქულა), მიხეილ ალანია (ორიაკი, 6 კეპი), თედო აბჟანდაძე (ბრივი, 30 კეპი, 210 ქულა), გიორგი ბაბუნაშვილი (შავი ლომი, 4 კეპი, 9 ქულა);

**ცენტრები, ფრთები და 15:** მერაბ შარიქაძე (შავი ლომი, 82 კეპი, 60 ქულა), გიორგი კვესელაძე (გლოსთერი, 37 კეპი, 25 ქულა), აკაკი ტაბუცაძე (შავი ლომი, 17 კეპი, 75 ქულა), დემეტრე თაფლაძე (შავი ლომი, 14 კეპი, 5 ქულა), მირიან მოდებაძე (შავი ლომი, 18 კეპი, 40 ქულა), თორნიკე კახოიძე (ლელო, 1 კეპი), სანდრო თოდუა (შავი ლომი, 95 კეპი, 65 ქულა), დავით მესხი (ენისეი, 2 კეპი), ლაშა ხმალაძე (შავი ლომი, 90 კეპი, 53 ქულა), დავით ნინიაშვილი (ლიონი, 9 კეპი, 23 ქულა).

◉ თეთრ ტრასაზე

# ტრადიციისამებრ – ბაკურიანში

**მართალია, გაზაფხული ძალებს იკრებს, მაგრამ ბაკურიანი ისევ თეთრ საბურველშია გახვეული და სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლებს ჩვეული სტუმართმოყვარეობით მასპინძლობს.**

გამონაკლისს არც გასული უქმეები წარმოადგენდა, როცა საქართველოში პირველად გაიმართა მსოფლიოს თასის გათამაშების ეტაპი ფრისტაილის ერთ-ერთ დისციპლინაში – სლოუფსტაილში. ჩვენთვის ამ შედარებით უცხო ხილის პროფესიონალებმა თხილამურებით ან სნოუბორდით დაშვებისას ტრასაზე სხვადასხვა დაბრკოლება გადალახეს, ხოლო მსაჯებმა მათი ოსტატობა ამპლიტუდის, ორიგინალურობისა და ილეთების ხარისხით შეაფასეს.

### ფრისკი სლოუფსტაილი

**ქალები.** მეგან ოლდემი (კანადა), სარა ჰოეფლინი (შვეიცარია), ალია დელა ეიცინგერი (გერმანია). **ვაჟები.** ანდრე რეგენტლი, კოლინ ვილი, ტიერი ვილი (სამივე – შვეიცარია). **ნიკა ელოშვილმა** და **ლუკა ჩოფიკაშვილმა,** შესაბამისად, მე-8 და მე-9 ადგილები დაიკავეს.

### სნოუბორდ სლოუფსტაილი

**ქალები.** ლაურა ბლუინი (კანადა), ჟასმინ ბაიარდი (კანადა), ბიანკა გისლერი (შვეიცარია). **ვაჟები.** ლეონ ვოსკენსბერგერი (გერმანია), ვალენტინო რუსელი (ავსტრია), ლეონ გუეტლი (გერმანია). **ჯაბა ცხვედიანმა** მე-13 ადგილი დაიკავა.

◉ ლეგიონერი



# ვიქტორ სანიკიძე: „თოკო, შენ მსოფლიოში საუკეთესო ადგილას მიხვედი“

**საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ვიქტორ სანიკიძე თორნიკე შენგელიას „ვირტუს ბოლონიაში“ ტრანსფერს გამოეხმაურა.**

ვეტერანმა ქართველმა კალათბურთელმა პოსტი სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. საქმე ისაა, რომ სანიკიძე „ვირტუსში“ 2009-2012 წლებში თამაშობდა და ბოლონიურ კლუბს ძალიან კარგად იცნობს.

**„ვირტუს ბოლონიამ“ აირჩია დიდი მოთამაშე, მებრძოლი, შრომისმოყვარე, ლიდერი და უპირველეს ყოვლისა, ნამდვილი ადამიანი, დიდი ბიჭი, სავსე გულით! ფორცა „ვირტუს!“ თოკო ერთ-ერთი ჩვენგანია. თოკო, შენ მსოფლიოში საუკეთესო ადგილას მიხვედი“**, – წერს სანიკიძე.

„ვირტუს ბოლონიამ“ შენგელიამდე ცსკა-დან ხუთი დღის წინ დანიელ ჰაკეტი დაიმატა. გარდა ამისა, გუნდში ისეთი გამოცდილი მოთამაშეები არიან, როგორებიც მარკო ბელინელი და მილოშ თეოდოშიჩი გახლავთ. „ვირტუსი“ იტალიის სერია A-ში 16 მოგებით და 3 წაგებით მეორე ადგილზეა და მხოლოდ „ოლიმპია მილანოს“ ჩამორჩება, უახლოეს შეხვედრას კი 13 მარტს თანაქალაქელ „ფორტიტუდოსთან“ გამართავს. აქვე გეტყვით, რომ იტალიური კლუბი ევროლიგაზე არა, მაგრამ ევროთასის გათამაშებაში მონაწილეობს.

◉ გამოცა

# საუკუნის კაპიტანი

**სამ აგვისტოს საუკუნე სრულდება ქართული ფეხბურთის რაინდის ავთანდილ ღოღობერიძის დაბადებიდან. რომ არა პანდემია და უკრაინაში გაჩაღებული ომი, მისი სამშობლო ვალდებულია, 2022 „ბასას“ წლად გამოაცხადოს, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ალალად ვთქვათ – განა მშვიდობიანობის ჟამს გადავდგით მსგავსი ნაბიჯი მისებრ საამაყო მამულიშვილებთან მიმართებაში?!**

სახელმწიფოსგან განსხვავებით, ყოველივე ეროვნულის მემატიანის – ბატონ **დემიკო ლოლაძისა** და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის **(ლევან კობიაშვილი, კახა ჭუმბურიძე, დავით მუჯირი)** სახით ჩვენს ირგვლივ ნაყოფიერად მოღვაწეობენ ადამიანები, ღირსეულად რომ მიაგებენ კეისარს კეისრისას.

ამჯერად მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს თაობათა კერპის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი საკმაოდ სქელტანიანი კრებული, რომელიც 78-ეა ასევე 78-ს მიღწეული მისი შემდგენლისთვის, ხოლო მის სამაგიდო წიგნად აკინძვას, თურმე, როგორც შესავლიდან ვიგებთ, ბატონ **თამაზ თაქთაქიშვილსაც** უნდა ვუმადლოდეთ ისევე, როგორც ავტორის უკვე სტაჟიან პარტნიორად ჩამოყალიბებულ დიზაინერ **კახა ბახტაძეს,** რომელთა თანამშრომლობა მართლაც სამაგალითოა.

**„...ახლაც განცვიფრებით ვიგონებ ბასას უზადო ტექნიკას – როგორ აჩერებდა მკერდით დიდი სისწრაფით მქროლავ ბურთს.**

**რა თილისმა ჰქონდა ასეთი, როცა ურთულეს ვითარებაშიც კი ბურთს „მოიკრავდა“ ხოლმე თავზე, ფეხზე, მხარზე, თეძოზე, თვალის დახამხამებაში დაამუშავებდა, ჩაახვევდა დრიბლინგს და როცა ბურთი დაკარგული ჩანდა, თითქოს უიმედო მდგომარეობიდან გამოვიდოდა და მეტოქის კარისკენ დაიძრებოდა.**

**თანაც, რა დარტყმა ჰქონდა – ყუმბარისებური, ზუსტი, ხვეული“** – დაგვეთანხმებით, ასეთ შეფასებას ფეხბურთის კარუზო **ბორის პაიჭაძისგან** ყველა ინატრებდა.




შემოთავაზებული სტრიქონებიდან გულშემატკივარი მრავალ საინტერესოს შეიტყობს, მაგრამ განსაკუთრებულად გვესახება 1957 წლის სკანდალურ ფაქტთან დაკავშირებული ჭეშმარიტების დასადგენად გასაჯაროებული ვერსია, საიდანაც ირკვევა, რომ ცენტრს ოქროს მედლები ჯიბიდან კი არ ამოუცლია, არამედ ჩემპიონობის რეალური შანსი წაურთმევია.

და ბოლოს: ავთანდილ ღოღობერიძემ 17 სეზონის განმავლობაში „ათრია“ თბილისის „დინამო“, აქედან 1951-1960 წლებში – გუნდის კაპიტნის სამკლაურით და უდიდესი უსამართლობაა, კარიერა უტიტულოდ რომ დაასრულა, მაგრამ ამით მის დიდებას არაფერი აკლდება. არანაკლებ სამწუხაროა ისიც, რომ საბედისწერო ავტოკატასტროფამ ხანგრძლივი მარტვილობა არგუნა.

**ნათელი და სანთელი, საუკუნის კაპიტანო!**

### სადარბაზო ბარათი

**დაიბადა 1922 წლის 3 აგვისტოს სოხუმში.**

**კარიერა: 1939 წ. – სოხუმის „პიშჩევიკის“ ჭაბუკთა გუნდი; 1940-1941 წ.წ. – სოხუმის „დინამო“; 1944-1961 წ.წ. – თბილისის „დინამო“. დიდი სამამულო ომის წლებში მონაწილეობდა კავკასიისთვის ბრძოლებში.**

**სსრკ პირველობაზე – 341 მატჩი, 127 გოლი (ორივე საკლუბო რეკორდია); გაიტანა დინამოელთა მე-600 და მე-700 ბურთები; მიუღწეველია აგრეთვე ერთ ჩემპიონატში გატანილი გოლების რაოდენობა (1950-25); სსრკ თასი – 29 შეხვედრა, 12 ბურთი; 62 საერთაშორისო თამაში, 21 გოლი; საკავშირო ჩემპიონატების ორგზის ვერცხლისა და ოთხგზის ბრინჯაოს პრიზიორი; საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და ქვეყნის თასის გათამაშების ფინალისტი; სსრკ ჩემპიონატის ბომბარდირი; სპორტის დამსახურებული ოსტატი; სამჯერ შეიყვანეს 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში; გრიგორი ფედოტოვის სახელობის სიმბოლური კლუბის წევრი; სსრკ ნაკრები – 3 მატჩი, 1 ბურთი, აგრეთვე 2 არაოფიციალური შეხვედრა; საკავშირო ოლიმპიური ნაკრები – 1 თამაში; XV ოლიმპიადის მონაწილე; 1960 წელი – სეზონის ყველაზე კორექტული ფეხბურთელი.**

**იყო თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი და გუნდის უფროსი, დედაქალაქის „ლოკომოტივის“ თავკაცი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

**ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხისა (სიკვდილის შემდეგ) და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი გარდაიცვალა თბილისში 1980 წლის 20 ნოემბერს.**



# ბათუმში 4 სოციალური სახლი შენდება, სადაც 100 ოჯახი მიიღებს ახალ საცხოვრისს

**ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე სოციალური სახლების მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში იაფი საცხოვრისით 100 ოჯახი ისარგებლებს. პროექტის ღირებულება 8 371 976 ლარია. მშენებლობა 2022 წლის ოქტომბერში დასრულება,** — ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობა ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ბათუმში იაფი საცხოვრისის პროექტის 1 ეტაპი 2021 წელს დასრულდა და ბინა 40 ოჯახს გადაეცა. დამატებით 40 ოჯახის შერჩევის პროცესი მიმდინარეობს.

მშენებლობის მიმდინარეობის პროცესს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე და ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ადგილზე გაეცნენ.

**„ბათუმისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ჩვენი მოქალაქეების საბინაო უზრუნველყოფა, სწორედ ამ მიზნით ბათუმის მერიამ მთავრობასთან ერთად შეიმუშავა პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 4 ახალი სოციალური სახლი აშენდება და 100 ოჯახი მიიღებს უკვე წლის ბოლოსთვის ახალ საცხოვრისს. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა პროგრამაზე „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“, რომლის ფარგლებშიც უკვე 2025 წლისთვის, 4 წლის განმავლობაში 3000-ზე მეტი ოჯახი დაკმაყოფილდება, რაც მოგვცემს საშუალებას, რომ არც ერთი ოჯახი არ ცხოვრობდეს ბათუმში ავარიულ სახლებში“** — განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს შევახსენებთ, რომ გაზეთს აქვს განახლებული ვებ-გვერდი www.sakresp.ge

თქვენ საშუალება გეძლევათ, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილში გაეცნოთ გაზეთის ახალ ნომრებს, გამოიწეროთ იგი ელექტრონულად, განათავსოთ თქვენთვის სასურველი რეკლამა და სარეკლამო ბანერი.

გაზეთის სარეკლამო სივრცე გელით ყველას!

იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, გაიძლიერეთ სიცოცხლის რწმენა და იმედი!

103 წლის ყველაზე ქართული გაზეთი თქვენ გვერდითაა!




ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.
(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

# როგორ შეცვალა ლუკაშენკოს სტატუსი უკრაინაში რუსეთის შეჭრამ



**მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარებმა ბელორუსის ტერიტორიიდან უკრაინის ობიექტებზე სარაკეტო დარტყმები განახორციელეს, ბევრმა ჩათვალა, რომ ალექსანდრე ლუკაშენკო კრემლის აბსოლუტურ მარიონეტად იქცა.**

## რა ხდება?

**მან ლეგიტიმაცია სრულად დაკარგა, მისი დამოუკიდებლობა მინიმალურია. როგორც პოლიტიკური ერთეული, რომელიც გადაწყვეტილებებს მაინც იღებს, ის ჯერ კიდევ ცოცხალია, მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. ასეთი პოლარული შეფასებები გაკეთდა ბელორუსის მმართველის, ალექსანდრე ლუკაშენკოს ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ. ამ უკანასკნელმა ნება დართო რუსულ ჯარებს, უკრაინის ტერიტორიაზე სარაკეტო იერიში განეხორციელებინათ.**

იმავდროულად, თავად ლუკაშენკო შუამავლის როლის შესრულებას ცდილობს, რის შედეგადაც უკრაინისა და რუსეთის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები სწორედ ბელორუსში იმართება. მოლაპარაკებების პირველ რაუნდამდე (28 თებერვალი) ორი დღით ადრე ემანუელ მაკრონი ლუკაშენკოს ტელეფონით ერთ საათზე მეტხანს ესაუბრა და როგორც მოგვიანებით ელისეის სასახლეში განაცხადეს, საფრანგეთის პრეზიდენტმა თანამოსაუბრეს მოუწოდა, „ნუ იქნება ვასალი“ (რუსეთის) და არ გახდეს უკრაინის წინააღმდეგ მიმართული ომის „თანამონაწილე“.

## ბელორუსი და საომარი მოქმედებები უკრაინაში

**ბოლო დროს მედიასაშუალებები უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში ბელორუსის ჩართულობისა და პირიქით, ამის უარყოფის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ, ფაქტობრივად, წალეკა. ომში მონაწილეობას უარყოფს თავად ლუკაშენკოც. ამავდროულად, ბელორუსის მმართველმა აღიარა, რომ რუსმა სამხედროებმა ქვეყნის ტერიტორიიდან უკრაინის ობიექტების მიმართულებით რაკეტები გაუშვეს.**

ვალერი კოვალევსკის განცხადებით, უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით ლუკაშენკოს ახლა ბელორუსებისთვის რამდენიმე იპოსტასი აქვს. **„ეს არის ადამიანი, რომელმაც უღალატა თავის სამშობლოს, სახელმწიფოსა და ბელორუს ხალხს, ჩაითრია რა ქვეყანა სხვის უსამართლო ომში, რომელიც ჩვენი მეზობლის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული აქტია. ლუკაშენკო არის აგრესორი, რომელმაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე მოძმე ხალხის წინააღმდეგ ომი გააჩაღა. სწორედ მის გამო ბელორუსმა აგრესორი სახელმწიფოს მნიშვნელობა შეიძინა,“** — ამბობს ოპოზიციონერი პოლიტიკოსი.

ლუკაშენკოს არ შეეძლო, ბელორუსის ტერიტორიიდან რუსული რაკეტების გაშვებას წინ აღდგომოდა — მიიჩნევს იოფფე, რომელიც რუსეთსა და უკრაინას შორის ბელორუსის ტერიტორიაზე მოლაპარაკებების ორგანიზებაში მინსკის აქტიურობაზე ამახვილებს ყურადღებას. **„ლუკაშენკო იმპულსებს მოსკოვიდან იღებს. არ ვიცი, რამდენად გადაიქცა ეს გზავნილები ბრძანებებად, მაგრამ მასთან ორივე მხარე საუბრობს,“** — ამბობს მკვლევარი. თუმცა ის იმასაც აღიარებს, რომ დღეს — 2014 წლისგან განსხვავებით — ბელორუსი მნიშვნელოვანწილად კონფლიქტის მხარეს წარმოადგენს.

**„მას ესმის, რომ მეზობელი სახელმწიფოს მიწა-წყალზე ომი დიდი პრობლემაა. გარდა ამისა, ისტორიაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა უკრაინის ტერიტორიაზე გაჩაღებული ომი ბელორუსს არ შეხებოდა. კონფლიქტში ნებისმიერი სახის ჩართვა ავტომატურად გამოიწვევს იმას, რომ საომარი მოქმედებები ჩვენს ტერიტორიაზე გადაინაცვლებს“,** — გვაფრთხილებს სერგეი ბოგდანი მაინეკეს ინსტიტუტიდან.

## დაიბრუნებს თუ არა ლუკაშენკო სტრატეგიულ ავტონომიას?

**ჩვენ ვხედავთ, რომ ლუკაშენკო კრემლის ბრძანებით მოქმედებს, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს მას იმის პასუხისმგებლობისგან, რაც ხდება,** — აცხადებს ოპოზიციონერი ვალერი კოვალევსკი. პოლიტიკოსი არსებული ვითარების ძირითად მიზეზს ასახელებს: **„ლუკაშენკო ძალაუფლებას მთელი ძალით ებღაუჭება. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ბელორუსი რუსეთის ასეთი ძლიერი კონტროლის ქვეშ იმყოფება“.**

იმავდროულად, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, დასავლეთმა მოსკოვს დაუწესა სანქციები, რომლებიც თავისი მასშტაბითა და სიმკაცრით უპრეცედენტოა. კავშირები წყდება, ფაქტობრივად, ყველა სფეროში — ეკონომიკით დაწყებული, სპორტით დასრულებული. ექსპერტები მომავალი ათწლეულების განმავლობაში ახალი რკინის ფარდის ჩამოფარებაზე საუბრობენ. ეჭვგარეშეა, თუ რომელ მხარეს დადგება ალექსანდრე ლუკაშენკო. ვალერი კოვალევსკის თქმით, აბსოლუტურად შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ლუკაშენკო სტრატეგიული ავტონომიის დაბრუნებას შეეცდება: **„მას არ აქვს არანაირი პერსპექტივა დაბრუნდეს საერთაშორისო მოთამაშის პოზიციაზე, რომელსაც გარკვეული რეპუტაცია და მანევრირების ადგილი აქვს“.**

გრიგორი იოფფე ლუკაშენკოს ინტერვიუს ფარგლებში საათების განმავლობაში ელაპარაკა და მის შესახებ რამდენიმე წიგნიც დაწერა. ლუკაშენკო ჯერ არ უნდა ჩამოვწეროთ, ის ბოლომდე იბრძოლებს, რომ საკუთარი პოლიტიკური სივრცე შეინარჩუნოს — მიაჩნია იოფფეს. მას სრულად ეთანხმება სერგეი ბოგდანი: **„პიროვნულად ის არ არის მარიონეტი და ვფიქრობ, შეეცდება გამოვიდეს ჩიხიდან, სადაც საკუთარმა თავმა და მისმა ზოგიერთმა ოპონენტმა მოიმწყვდია. პოლიტიკური გადარჩენის ინსტინქტი ლუკაშენკოს სტრატეგიული ავტონომიისკენ უბიძგებს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ბელორუსის სახელმწიფო კუთხეშია მომწყვდეული“.**

# ლაგოდეხში მიკროავტობუსი ბუნებრივი აირის მილს დაეჯახა და დაიწვა...

**ლაგოდეხში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ორი ადამიანი დაშავდა. მათ სხეულის დამწვრობა მიიღეს. თვითმხილველების ინფორმაციით, მიკროავტობუსი სოფელში ბუნებრივი აირის გამტარ მილს დაეჯახა, რამაც ცეცხლის აალება გამოიწვია. მთლიანად დაიწვა მიკროავტობუსი, ხოლო მძღოლმა და ერთმა მგზავრმა სხეულის დამწვრობა მიიღეს. დაშავებულები სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ლაგოდეხის „არქიმედეს“ კლინიკაში მოათავსა. მათ შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდებათ.**



ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის 2022 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით, 2022 წლის 10 აპრილს დანიშნულია საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის მორიგი ყრილობა, რომელიც გაიმართება ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი №17ე (ყოფილი 17ა), ჟურნალისტთა კავშირის საკონფერენციო დარბაზში.

დასაწყისი 13 საათზე.

## ბერლინის საერთაშორისო გამოფენაზე – პარტნიორი ქვეყნის სტატუსით

**მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე – ITB Berlin, საქართველო კულტურის მიმართულებით პარტნიორი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობს.** ონლაინ გამოფენის ოფიციალური გახსნის დროს მონაწილეებს გერმანიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან იზორიამ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ მარიამ ქვრივიშვილმა სიტყვით მიმართეს.



**„მოხარული ვარ, მივესალმო მსოფლიოს წამყვანი სამოგზაურო გამოფენის მონაწილეებს და სექტორის ყველაზე ცნობილ წარმომადგენლებს. პირველ რიგში მინდა ჩემი ქვეყნის სახელით უკრაინის მიმართ გამოვხატო სოლიდარობა და ძლიერი მხარდაჭერა. საქართველო უკრაინის გვერდითაა. ქართველი ხალხი ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს უკრაინას და ჩვენ ვმასპინძლობთ უკრაინელებს სასტუმროებსა და სახლებში. ვფიქრობ, ტურიზმს აქვს უდიდესი ძალა ხალხის გაერთიანებისა და მშვიდობის მისაღწევად. მინდა ასევე მოგილოცოთ ქალთა საერთაშორისო დღე, ქალები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტურიზმის დარგში მთელ მსოფლიოში. მომდევნო 3 დღის განმავლობაში, ტურიზმის სფეროს პროფესიონალები როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან წარმოადგენენ პრაქტიკულ მაგალითებს და მნიშვნელოვან შეხედულებებს ტურიზმის ინდუსტრიის ფიცრული და მდგრადი განვითარების მიმართულებით“,** – განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.

## რუსეთი „ადიდასის“ გარეშე დარჩა




**Adidas-მა განაცხადა, რომ რუსეთის ტერიტორიაზე თავის მაღაზიებში გაყიდვებს აკრძალავს. გარდა ამისა, აღარ იმუშავებს ცნობილი ბრენდის ოფიციალური რუსული ონლაინ-მაღაზია.**

ამასთან, კომპანია რუსეთში თავისი თანამშრომლებისთვის ხელფასის გადახდას გააგრძელებს. მანამდე Adidas-მა განაცხადა, რომ რუსეთის საფეხბურთო ნაკრებთან და ფეხბურთის კავშირთან თანამშრომლობას შეწყვეტს. უკრაინაში ომის გამო, რუსეთში გაყიდვები უკვე შეაჩერეს ისეთმა ცნობილმა ბრენდებმა, როგორებიცაა Nike, Puma, H&M, Sephora, IKEA, Hermes-ი და Fazer-ი.

## მსოფლიოში ყველაზე სანქცირებული ქვეყანა

**რუსეთი 5 530 სანქციით, მსოფლიოში ყველაზე სანქცირებული ქვეყანა გახდა. 22 თებერვლის შემდეგ, უკრაინაში სამხედრო ინტერვენციის გამო, რუსეთს აშშ-მა და მისმა პარტნიორებმა 2 278 სანქცია დაუწესეს. სანქციათა უმეტესობა დაუწესდა 2 427 ფიზიკურ პირს, ხოლო 343 იურიდიულს – კომპანიებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს.**

რუსეთის წინააღმდეგ ყველაზე მეტი სანქცია შვეიცარიამ დააწესა – 568. მანამდე მსოფლიოში ყველაზე მეტი სანქცია დაკისრებული ჰქონდა ირანს – 3 616, ძირითადად ბირთვული პროგრამისა და ტერორიზმის მხარდაჭერისათვის. რუსეთისა და ირანის შემდეგ სანქცირებულთა სიაში არიან სირია, ჩრდილოეთ კორეა, ვენესუელა, მიანმარი და კუბა.



## პირველად და მეორედ პოვნა პატიოსნისა თავისა წმიდისა, დიდებულისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესი

**9 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად (IV) და მეორედ (452) პოვნას.**

ტროპარი: **„ქვეყანით აღმობრწყინდა თავი იგი წინამორბედისა და უხრწნელებისა მცხინვარებასა მიჰფენს ყოველთა საკურნებლად სარწმუნოებით მვედრებელთა მისთა, რამეთუ ზეცას აქებენ სიმრავლენი ანგელოზთანი, და ქვეყანასა ზედა კაცნი ერთ ხმობით უღაღადებთ, ქრისტე ღმერთო, ვედრებითა მისითა გარდამოავლინე დიდი წყალობაი შენი ჩვენ ზედა“.**

იოანე ნათლისმცემლის მოწაფეებმა თავიანთი მოძღვრის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ შეიტყვეს. მათ იოანეს სხეულის წაღების ნებართვა მოიპოვეს, ქალაქ სამარიაში გადაასვენეს და ელისე და აბდია წინასწარმეტყველთა საფლავების გვერდით დაკრძალეს... მისი პატიოსანი თავი ჰეროდეს ეზოს მოძღვრის ქოზას ცოლმა თიხის ჭურჭელში ჩაასვენა და ელეონის მთაზე – ჰეროდეს ერთ-ერთ მამულში დაკრძალა.



მრავალი წლის შემდეგ ეს ადგილ-მამული კეთილმსახური დიდებულის – ინოკენტის მფლობელობაში გადავიდა, რომელმაც აქ ტაძრის აშენება გადაწყვიტა. ტაძრის საძირკვლის თხრის დროს აღმოჩენილ იქნა ჭურჭელი უფლის წინამორბედის თავით. ნაპოვნი სიწმინდის სიდიადე მასთან აღსრულებული სასწაულებით გაცხადდა. ეს იყო იოანე ნათლისმცემლის თავის პირველი პოვნა.

მოციქულთა სწორის – კონსტანტინე დიდის მეფობისას ქრისტიანობის აყვავების ხანაში, წმიდა ადგილების მოსალოცად ჩასულ ორ ბერს იერუსალიმში ორჯერ გამოეცხადა უფლის წინამორბედი და პატიოსანი თავის ადგილსამყოფელი ამცნო. ბერებმა ამოთხარეს სიწმინდე, აქლემის ტყავის ტომარაში ჩადეს და შინისკენ გაბრუნდნენ. გზად მათ შეხვდათ უცნობი მექოთნე და ძვირფასი ტვირთი მას მისცეს სატარებლად. მან არ იცოდა, რა სიწმინდე მიჰქონდა, მაგრამ თავად იოანე გამოეცხადა და უბრძანა, გაქცეოდა დაუდევარ ბერებს და თან გაეყოლებინა ისიც, რაც ხელთ ეპყრა. ღვთისმოყვარე ხელოსანი ფარულად განერიდა თანამგზავრებს. შემდგომში იგი პატივით ინახავდა წმიდა თავს, სიკვდილის წინ კი დას გადასცა. ამ დროიდან მოყოლებული სიწმინდე მემკვიდრეობით გადაეცემოდა ღვთისმოშიშ ქრისტიანებს მანამ, სანამ მისი მფლობელი არ გახდა ერეტიკოსი (მწვალებელი) მღვდელმთავარი ევსტათი. იგი პატიოსანი თავის სიწმინდის ძალით კურნავდა სნეულებს, შემდეგ კი აღსრულებულ სასწაულებს ერესის მადლს მიაწერდა...

გავიდა დრო, გამოქვაბულში, სადაც პატიოსანი თავი იყო ჩაფლული, პატიოსანი ბერები დამკვიდრდნენ, ქრისტიანული მონასტერი ააგეს. სავანეში სიწმინდე მეორედ იპოვეს. ეს დღესასწაული 452 წლის 9 მარტს დაარსდა.

**გიული ლიპარტია**

## ჟიტომირში მტერმა ღვთისმშობლის შობის ტაძარი გაანადგურა...

უკრაინის პრეზიდენტმა მორიგი ვიდეომიმართვა გაავრცელა და აღნიშნა, რომ ოკუპანტებისთვის არ არსებობს არანაირი ფასეულობა, რომელსაც არ ეხებიან.



**„ჟიტომირის რეგიონში მტერმა გაანადგურა 1862 წელს აგებული, ღვთისმშობლის შობის ტაძარი... ესენი ადამიანები არ არიან! იყო შეთანხმება ჰუმანიტარული კორიდორის შესახებ. იმუშავა ამან? არა! სამაგიეროდ, რუსულმა ტანკებმა იმუშავეს. მათ ის გზაც კი ააფეთქეს, რომელზეც იყო შეთანხმება, რომ საკვები და მედიკამენტები უნდა გაეტარებინათ და ადამიანებამდე, ბავშვებამდე უნდა მიეტანათ მარიუპოლში. ისინი იმ ავტობუსებსაც კი ანადგურებენ, რომლითაც ხალხი გაჰყავთ ტერიტორიიდან. სამაგიეროდ, ხსნიან მცირე კორიდორს ოკუპირებული რეგიონებისკენ“,** – განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.3991; ევრო - 3.6802;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4708;
100 რუბლი - 2.4641; თურქული ლირა - 0.2314;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0047;
1000 სომხური დრამი - 6.6187.

**ამინდი 9 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -1, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -7, | დღე | +6 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +8 |
| თბილისი: | ღამე | +2, | დღე | +7 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge